მენორა

מנורה

გამოდის 1993 წლის მარტიდან
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
WWW.opentext.ge/menora

ებრაული გაზეთი საქართველოში

MENORA
JEWISH NEWSPAPER
IN GEORGIA

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

``МЕНОРА``
ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА
В ГРУЗИИ

ნოემბერი
(ხეშვანი)
1-15
№21 (306)
(5770 წელი)
2009 წელი
ფასი 50 თეთრი

სამ რამეს დააკვირდი და ცოდვას არ ჩაიდენ: როგორ გაჩნდი, სად მიდიხარ და ვის ჩააბარებ ანგარიშს. საიდან მოხვედი? — მყრალი წვეთისგან. საით მიდიხარ? — მტვრის, მატლის და ჭიათა საუფლოში. ვის ჩააბარებ ანგარიშს? — დიდზე დიდ ხელმწიფეს წმიდათა-წმიდა მეუფეს. კურთხეულია იგი.

"ფირკე ავოთ" 3,1

დღეს ნომერშია:

საქართველოს ებრაელობა პატივს მიაგებს ამაგდარს.
მოშე (მიშიკო) მირილაშვილის დაბადების დღე თბილისში.
4-5,8 გვ.



საქართველოს ებრაელობის ყოფა 5769 (2008-09) წელს გაზეთ „მენორას" ფურცლების მიხედვით
2-3 გვ.

31 ოქტომბერს თბილისის საზოგადოებრიობამ გამოჩენილი მეცენატის ბადრი პატარკაციშვილის საფლავთან ყვავილები მიიტანა.
ამ დღეს იგი 54 წლის შესრულდებოდა.

რა ხდება მსოფლიოს ებრაელობაში?
6 გვ.



ალეკო ბაზაზაშვილი ჩემპიონია
7 გვ.

თემურ იაკობაშვილისეული ანალიზი საქართველოს ირგვლივ მიმდინარე მოვლენებისა
6 გვ.

არიელ ლევინი ძველი აღთქმის საკვირაო თავის შესახებ

სტუმრობა მუზეუმში

9 ოქტომბერს დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი მასპინძლობდა იერუსალიმის ბენ – ცვის სახელობის აღმოსავლეთის ქვეყნების ებრაელთა კვლევის ინსტიტუტის დირექტორს, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორს ბ-ნ **იომ თოვ ასისსა** და არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის პროფესორს, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ტრუმენის სახელობის მშვიდობის პრობლემათა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელს ბ-ნ **რეუვენ ენოხს** (რუბენ ენუქაშვილს).

სტუმრებმა და მუზეუმის დირექტორმა ბ-ნმა **გივი ღამბაშიძემ** გამოთქვეს სურვილი აღნიშნულ სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ადრე დადებული ხელშეკრულების გაგრძელების თაობაზე და დასახეს მომავალი თანამშრომლობის გეგმები.

მუზეუმის პრესცენტრი

როშ ჰაშანიდან როშ ჰაშანამდე

როგორ ვცხოვრობდით 5769 წელს

(გაზეთ „მენორას" მასალების მიხედვით)

2008 წელი, ოქტომბერი

როშ ჰაშანა – ებრაული ახალი წელი მსოფლიო ებრაელობას მიულოცა ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა, ისრაელის თორის მცოდნეთა საბჭოს პრეზიდენტმა, ისრაელის დიდმა რაბინმა ოვადია იოსეფიმ, ისრაელის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა ბ-ნმა იცხაკ გერბერგმა და "სოხნუთის" წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოსა და აზერბაიჯანში ბ-ნმა გრეგორი ბროდსკიმ.

ავთანდილ ნიკოლეიშვილს – აკადემიკოსს, პროფესორს, ორი ქალაქის: ამერიკაში – კოლუმბიისა და ქუთაისის საპატიო მოქალაქეს, მკვლევარს, მწერალს, პუბლიცისტს შეუსრულდა 60 წელი. ეს დღე „მენორამ" გულითადად მიულოცა ამ ღირსეულ მოღვაწეს.

მოსკოვში ჩაპაევის ქუჩაზე გია, მერაბ ელაშვილებმა და რომან შამელაშვილმა ბეით ქნესეთი „იცხაკის კარავი" გახსნეს და სეფერთორაც შეაბრძანეს, რითაც, უკვდავყვეს იცხაკ ელაშვილის ხსოვნა.

27 სექტემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ისრაელში მცხოვრები ცნობილი ქართველი ებრაელი კომპოზიტორის იოსებ ბარდანაშვილის საავტორო კონცერტი, კონცერტის დირიჟორი გახლდათ ვახტანგ კახიძე.

გაზეთ „მენორას" 15 წლისთავს ულოცავენ: საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი, აკადემიკოსი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტი როინ მეტრეველი, პროფესორი დავით ბაზოვი, თელ-ავივის უნივერსიტეტის დოქტორი დოდო ჩიკვაშვილი, ბიზნესმენი ილია მოსიაშვილი, პროფესორი თ. მდინარაძე, „ჯოინთის" პირველი წარმომადგენელი საქართველოსა და კავკასიაში მენახემ ელაზარი.

7 ოქტომბერი – ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იცხაკ გერბერგმა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს რწმუნების სიგელი გადასცა.

ქუთაისის საგამომცემლო ცენტრმა გამოსცა პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის წიგნი „ებრაული თემა ქართულ მწერლობაში."

გამოვიდა კულტურის, ისტორიისა და თეორიის საკითხების XXIV ტომი. ებრაული კრებული, რომლის რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე.

ნოემბერი

თელ-ავივის დახურულ სპორტულ დარბაზ „მაკაბიაში," ორგანიზაცია „დეგელ იერუშალაიმის" ინიციატივითა და ორგანიზებით ჩატარებულ კონკურს-ვიქტორინაში თემაზე: „მეშვიდე წლის კანონები" – „თიფერეთ ცვის" ყოფილმა მოსწავლემ მოშე მდინარაძემ გაიმარჯვა.

გაზეთ „მენორას" კვლავაც ულოცავენ 15 წლისთავს: შალომ დავიდი; საქართველოს ებრაელთა მატერიალური, ისტორიულ-კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის ფონდის „ორ"-ის გამგეობის თავმჯდომარე ფილხაზ ნანიკაშვილი; საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი რაბი ავიმელეხ როზენბლატი; ისრაელის ხ. შიბას სახელობის თელ-ჰაშომერის სახელმწიფო სამედიცინო ცენტრის თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ სარელი (იზრაელაშვილი); ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოფენების კურატორი ლელა წიწუაშვილი; ისრაელის გერცელ ბაზოვის სახელობის ქართულენოვანი დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით ხუბელაშვილი, პოეტი სიმა ჯანაშვილი.

კირიათ შარეთის კულტურისა და ხელოვნების სახლში ქ. ხულონის მერის მოადგილის შალომ დავიდის მფარველობით სუქოთის დღესასწაული გაიმართა.

ისრაელში მუნიციპალური არჩევნები ჩატარდა. იერუსალიმის მერი ბიზნესმენი ნირ ბარკათმა გახდა. ქართველმა ებრაელებმა მუნიციპალიტეტის საბჭოს წევრობისთვის გამარჯვება მოიპოვეს – აშდოდში მოშე ბოთერაშვილმა, ხოლო ნაჰარიაში – დავით ბინიაშვილმა.

18 ნოემბერს თბილისის ებრაულ სათემო სახლში შეიკრიბნენ ქართული და ებრაული ინტელიგენციის წარმომადგენლები, რათა აღენიშნათ კლუბ „26 საუკუნის" 10 წლის იუბილე.

დეკემბერი

„მენორას" ფურცლებზე იბეჭდება სანდრა ელისაბედ რულოვსის სტატია „ანა ფრანკის დღიურიდან" იერუსალიმამდე."

ცნობილ ინჟინერ-მშენებელსა და მეცნიერ მუშაკს დოქტორ მოშე დანიელს (მოსე დანიელაშვილს) 70 წელი შეუსრულდა.

18 ნოემბერს, თელ-ავივში, ისრაელის მწერალთა სახლში, ისრაელის მწერალთა კავშირების ფედერაციამ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესმა და დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმმა აღნიშნეს მუზეუმის დაარსებიდან 75-ე წლისთავი და მუზეუმის სამეცნიერო „შრომების" IV და V ტომების გამოცემა. 27 ნოემბერს მუზეუმს ესტუმრა ისრაელის ელჩი საქართველოში ბ-ნი იცხაკ გერბერგი მეუღლითურთ.

26 ნოემბერს თბილისის ებრაულ სათემო სახლში გაიმართა პრეზენტაცია პროექტისა „პროფესიული მომზადება დასაქმებისათვის," რომლის მხარდამჭერი და დამფინანსებელი „ჯოინთია," გაიმართა კურსდამთავრებულთათვის სერთიფიკატების გადაცემა.

გაზეთ „მენორას" რედაქტორის შეკითხვებს პასუხობს ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბ-ნი იცხაკ გერბერგი.

26 ნოემბერს ებრაულ სახლში გაიმართა გულთბილი საღამო – „ჯოინთის" ყოფილი რეგიონალური დირექორის სტენლი აბრამოვიჩის გაცილება.

ხანუქის დღესასწაული ებრაელი ერის გმირობის დღეები „ქორთიარდ მარიოტში" ბიზნეს-პალატის ხელმძღვანელმა იციკ მოშემ მოაწყო, სადაც **საქართველოს პრეზიდენტმა ბ-ნმა მიხეილ სააკაშვილმა** სანთლის ანთების ცერემონიალი შეასრულა. დღესასწაულს აგრეთვე ესწრებოდნენ აგვისტოში განვითარებული მოვლენების დროს დაჭრილი ქართველი ჯარისკაცები.

საქართველოს პრეზიდენტა ბ-ნმა მიხეილ სააკაშვილმა „მენორას" 15 წლისთავი მიულოცა.

გაზეთ „მენორას" 15 წლის იუბილე მიულოცა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში – ბ-ნმა იცხაკ გერბერგმა.

24 დეკემბერს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, „ჯოინთის" ხელშეწყობით გაიმართა ებრაული წიგნის ყოველწლიური ფესტივალი.

25 დეკემბერს „სოხნუთში" მოეწყო გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ანა ფრანკის დღიურს. პირველმა ლედიმ, სანდრა რულოვსმა აანთო ხანუქის სანთელი.

ამავე დღეს, ებრაული სახლის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრმა ბავშვებისთვის ხანუქის დღესასწაული გამართა.

დეკემბერში ყაზანში გაიმართა ევრაზიის ებრაელობის მნიშვნელოვანი ღონისძიება ევროაზიური ებრაული კონგრესის გენერალური საბჭოს სესია (ეაეკ). სესიაზე თავი მოიყარეს დსთ-ს ქვეყნების, იაპონიის, მონღოლეთის, ბულგარეთის და საქართველოს ებრაელმა ლიდერებმა.

„მენორა" ღირსეულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს მიხიელ როკეტლიშვილს 80 წლის იუბილეს ულოცავს.

ხანუქას ებრაულ თემს ულოცავენ საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი და საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი ავიმელეხ როზენბლატი.

23 დეკემბერს, თბილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, გაიმართა არქიტექტორ შოთა ბოსტანაშვილის სადოქტორო დისერტაციის დაცვა თემაზე: „სივრცის პოეტიკა, – სინაგოგებისა და ებრაული სასაფლაოების არქიტექტურა საქართველოში."

„მენორას" 15 წლისთავს ულოცავენ ბ-ნი გივი ღამბაშიძე ბ-ნი ელდარ მამისთვალიშვილი, თბილისის ებრაული სახლის დირექტორთა საბჭო, ბ-ნი შალვა წიწუაშვილი.

იანვარი

არაბული სამყარო კვლავ ვერ ურიგდება ისრაელის დამოუკიდებლობას და განაგრძობს ისრაელის ქალაქების დაბომბვას.

5 იანვარს თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა ჩაატარეს ისრაელის მხარდამჭერი დემონსტრაცია.

გაიმართა საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების კონფერენცია. შეიქმნა საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა.

11 იანვარს რიყეზე გაიმართა ისრაელის მხარდამჭერი აქცია ღაზას სექტორში ისრაელის ანტიტერორისტულ ოპერაციასთან დაკავშირებით.

12 იანვარს ისრაელის ელჩი საქართველოში ბ-ნი იცხაკ გერბერგი თემის წევრებს შეხვდა. შეხვედრის ძირითადი თემა, ცხადია, ისრაელში მიმდინარე მოვლენები იყო.

13 იანვარს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოებამ გააკეთეს განცხადება ღაზას სექტორში დაძაბულობის ესკალაციასთან დაკავშირებით, რითაც მხარი დაუჭირეს ისრაელის ანტიტერორისტულ მოქმედებას.

გამოვიდა გაზეთ „მენორას" თხუთმეტი წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული „მენორა 15".

თებერვალი

26-27 იანვარს იერუსალიმში გაიმართა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის მე-13 პლენარული ასამბლეა.

„მენორა" ქუთაისის „ხესედ აბულის" დირექტორს გიგა ხოტოველს ქორწინებას ულოცავს.

ქ. ბათ-იამში დარბაზ "აუდიტორიუმში" წარმოდგენილ იქნა მხატვარ ნიკო ფიროსმანის ცხოვრების ამსახველი ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია, რომლის სცენარის ავტორი და რეჟისორი ნანა იანოვსკაია-ბერაძე გახლავთ.

თებერვლის დამდეგს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს ახალი მთავრობა, რომელშიც რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა არა მხოლოდ თავისი — სახელმწიფო მინისტრის პოსტი შეინარჩუნა, არამედ ახალ მთავრობაში ვიცე-პრემიერიც გახდა.

ისრაელის პარლამენტის წევრი ორი ქართველი ებრაელი გახდა: ციპო ხოტოველი, რომელსაც ბიბი ნეთანიაჰუს აღმოჩენად მიიჩნევენ და ისრაელის ქნესეთის წევრი მეორედ – ცნობილი იურისტი აბრამ მიხაელი (მიხელაშვილი).

„მენორა" ცნობილ ექიმ-კარდიოლოგს, ქუთაისის საპატიო მოქალაქეს, ჭეშმარიტ ინტელიგენტს, ბ-ნ ჩიტო ბუზიაშვილს 80 წლის იუბილეს გულითადად ულოცავს.

7 თებერვალს ისრაელში ქ. ბათ-იამის საკონცერტო დარბაზ „აუდიტორიუმში" საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესმა გამართა გაზეთ „მენორას" 15 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემული კრებულის — „მენორა-15" და იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორის კოტე ლერნერის

რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის „ევრეი გრუზიი" წარდგინება.

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის საქმიანობის მხარდაჭერისა და მასთან აქტიური თანამშრომლობისათვის ორგანიზაციის პრეზიდენტმა მიხეილ (მიშიკო) მირილაშვილმა გამოაქვეყნა მადლობის წერილი, სადაც მადლობა გადაუხადა: რელიგიურ მოღვაწეებს – რაბინებს, ხახმებს, ბიზნესმენებს, პოლიტოლოგებს, მეცნიერებს, კულტურის მოღვაწეებს, მედიცინის მუშაკებს, პედაგოგებს, სპორტსმენებს, აქტივისტებს, ახალგაზრდა აქტივისტებს;

12 თებერვალს ებრაულ სახლში გაიმართა ტუ ბი შვატის — ხეების ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

მარტი

„მენორა" ულოცავს მკითხველს ფურიმის დღესასწაულს.

სრულიად საქართველოს ებრაელთა საზოგადოებების კავშირის თაოსნობით, შოთა მეგრელიშვილის ოჯახის თანხმობითა და ქ. ფოთის მერიის ნებართვით ქ. ფოთის ბეით ქნესეთის შესასვლელში ბიზნესმენ შოთა მეგრელიშვილის მემორიალური დაფა გაიხსნა.

საქართველოს ესტუმრნენ ისრაელიდან, აშშ-დან და ასევე სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული რაბინები და დაესწრნენ ბეით ქნესეთში ლოცვას.

ებრაულმა ახალგაზრდულმა ფონდმა „ჰილელი – თბილისი" დაიწყო ყოველთვიური ჟურნალის „ებრაული სამყარო"-ს გამოცემა.

იერუსალიმში გამოვიდა პროფესორ კონსტანტინე ლერნერის წიგნი „საქართველოს ებრაელები" (ელინიზმიდან გვიანდელი ხანის ფეოდალიზმამდე).

საქართველოს ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში ბ-ნი ვახტანგ ჯაოშვილი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

6 მარტს დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმს ესტუმრა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში ბ-ნი ვახტანგ ჯაოშვილი.

10 მარტს ებრაულ სახლში გაიმართა საქართველოს პროფესიული განათლების კავშირისა და აშშ ებრაელთა გამავრცელებელი კომიტეტის – „ჯოინთის" ერთობლივი პროექტისადმი მიძღვნილი „პროფესიული მომზადება-დასაქმებისათვის" ღონისძიება.

12 მარტს ებრაულ სახლში გაიმართა კლუბ „26 საუკუნის" საღამო, რომელიც მიეძღვნა „დედის დღეს," „ქალთა დღეს," ფურიმს.

13 მარტს ებრაულ სახლში მოეწყო საბავშვო ჯგუფის – „შალომ, სეზამის" საფურიმო დღესასწაული.

25 მარტს საქართველოში იმყოფებოდა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარე იოსებ ზისელსი, რომელიც ევრაზიის საბჭოს წევრებთან გურამ ბათიაშვილთან და ელენე ბერკოვიჩთან ერთად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა გრიგოლ ვაშაძემ მიიღო.

აპრილი

ფესახის — განთავისუფლების დღის დადგომას საქართველოს ებრაულ თემს ულოცავენ ისრაელის ელჩი საქართველოში ბ-ნი იცხაკ გერბერგი, საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი; "ჯოინთის" წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში სერგო ვლასოვი და "სოხნუთის" წარმომადგენელობის ხელმძღვანელი გრეგორი ბროდსკი.

საქართველოში, ისრაელის საელჩოში რეპატრიაციის საკითხებზე მუშაობას ახალი კონსული — რონ შეხტერი შეუდგა.

მომღერალ ენრიკო ჯანელიძეს 60 წელი შეუსრულდა, რასაც გულითადად ულოცავს „მენორა."

გამოიცა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ავთანდილ ნიკოლეიშვილის წიგნი „ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურული და პუბლიცისტურ-ჟურნალისტური მოღვაწეობის ისტორიიდან. II. გურამ ბათიაშვილი."

შვეიცარიაში, ქ. შეტეფონში გამართულ „ევროპის თასის" ჩემპიონატზე ლევან გორელაშვილმა I ადგილი დაიკავა და ევროპის თასის მფლობელი გახდა.

„მენორა" დიდი მწუხარებით იუწყება საქართველოს ებრაელთა მსოფლოო კონგრესის პრეზიდენტის (მოშე) (მიშიკო) მირილაშვილის გარდაცვალების შესახებ.

ებრაულ სახლში გაიმართა შეხვედრა საქართველოს მთავარ რაბინ – არიელ ლევინთან.

მაისი

ისრაელის დამოუკიდებლობის დღე თბილისში, სასტუმრო „Sheraton Metekhi"-ში გაიმართა, რომელსაც მასპინძლობდა ისრაელის საელჩო საქართველოში – ისრაელის ელჩი საქართველოში იცხაკ გერბერგი მეუღლითურთ და ისრაელის საელჩოს კონსული მიხალ კალი. მოწვეულთ შორის იყვნენ: საქართველოს მთავრობის წევრები: მინისტრები, მათი მოადგილეები, თბილისში აკრედიტებული დიპლომატიურ მისიათა ხელმძღვანელები, ებრაული ორგანიზაციების ლიდერები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ავტორთა ჯგუფი და „მენორა" 80 წლისთავს ულოცავს მეტეოროლოგიის პროფესორს (თელავის უნივერსიტეტი) შალვა ციციონს – წიწუაშვილს.

ბ-ნი რევაზ გაჩეჩილაძე და ბ-ნი გურამ ლორთქიფანიძე საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები გახდნენ.

„მენორა" მკითხველს შავუოთს — თორის მიღების დღესასწაულს ულოცავს.

12 მაისს, ებრაულ სახლში გაიმართა ლაგ ბაომერის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც აგრეთვე გახდა ყველა ადამიანის ხსენების საღამოც.

ვაშინგტონში ჩატარდა აშშ ებრაული კომიტეტის ტრადიციული წლიური თავყრილობა. „ემუნა" თავისი მე-10 დაბადების დღე გადაიხადა.

ძიუდოში საქართველოს პირველობისათვის გამართულ ჩემპიონატზე ალეკო ბაზაზაშვილმა 46 კგ. კატეგორიაში II ადგილი დაიკავა.

ქართულ ენაზე გამოვიდა თანამედროვეობის გამოჩენილი სასულიერო მოღვაწის, რაბინ ადინ ევენ ისრაელის (შტაინზალცის) წერილების წიგნი "გულით მსახურება."

ივლისი

ცნობილ მთარგმნელსა და პოეტს ნათან ბააზოვს 75 წელი შეუსრულდა.

ებრაულ სახლში ახალგაზრდა შემსრულებელთა კონცერტი გაიმართა. კონცერტი ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდ – „ჩემი საქართველოს" ერთობლივი პროექტი გახლდათ.

დავით ბოთერაშვილი ისრაელსა და საქართველოში იღებს მხატვრულ ფილმს „ქართველი ებრაელები."

13 ივლისს ისრაელში გაიმართა მე-18 მაკაბიადის გახსნის ცერემონიალი.

16 ივლისს, წინანდალში – დიდი ქართველი პოეტის, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში გამოჩენილი ქართველი მწერლები, კომპოზიტორები და ქორეოგრაფები. „ქართული კულტურის ამაგდარი"-ს მედლით დაჯილდოვდნენ. მედალი გადაეცა მწერალსა და დრამატურგს გურამ ბათიაშვილს.

ებრაულ სახლში გაიმართა შოთა მეგრელიშვილზე შერქმნილი წიგნის „ორი ერის ღირსეული შვილი"-ს პრეზენტაცია და თავად შოთა მეგრელიშვილის ხსოვნის საღამო.

მიშა ჯანაშვილის ხელოვნებას მიეძღვნა საღამო ებრაულ სახლში, რომლის ორგანიზატორები ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი და ებრაული მემკვიდრეობის საერთაშორისო "ბააზოვ-ფონდი" გახლდნენ.

9 აბი – 30 ივლისი მწუხარების დღე.

აგვისტო

„მენორას" ფურცლებზე დაიბეჭდა 1969 წლის აგვისტოში 18 ქართველი ებრაელის მიერ გაეროში გაგზავნილი წერილი, რომელმაც სათავე დაუდო საბჭოთა კავშირის ებრაელობას ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება.

მოშე (მიშიკო) მირილაშვილის შვილებმა – მიხეილ და გაბრიელ მირილაშვილებმა სირიის საზღვართან, გოლანის მაღლობზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში ისრაელის არმიას დიდი საჩუქარი გაუკეთეს, „რეშეფ-71"-ის ბეით ქნესეთში დიდებული მამის სულის საოხად სეფერ თორა შეაბრძანეს.

მოსკოვში მცხოვრებმა ქართველმა ებრაელებმა – გია (გაბრიელ) და მერაბ (მენაშე) ელაშვილებმა – ისრაელის არმიის მთავარი სადაზვერვო სკოლა-აკადემიის ბაზას, სადაც სწავლობს და ინვრთნება ასობით ისრაელელი ჯარისკაცი, დედის – ნანი (დიანა) ელაშვილის სახელით სეფერ-თორა აჩუქეს.

„სოხნუთის„ საქართველოს წარმომადგენლობამ ბ-ნი გრეგორი ბროდსკის საქართველოში მოღვაწეობის დასრულებასთან დაკავშირებით გამოსამშვიდობებელი საღამო მოაწყო.

„მაკაბიადიდან" დიდი წარმატებით დაბრუნდნენ: ლევან გორელაშვილი, რომელიც 75 კგ. წონით კატეგორიაში ოქროს მედლის მფლობელი გახდა, დავით აბრამიშვილმა კი მესამე ადგილი დაიკავა – 85 კგ. წონით კატეგორიაში და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

საგანმანათლებლო ცენტრმა „თიფერეთ ცვიმ" და კლუბმა ქოლელმა „მიშფახამ" სასწავლო წელი დაამთავრა სემინარების სერიით აჭარის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში – მწვანე კონცხზე.

სექტემბერი

ელული – მონანიების თვე.

შურა ფიჩხაძეს – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს საინჟინრო და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს 75 წელი შეუსრულდა, რასაც დიდი პატივისცემით ულოცავს ავტორთა ჯგუფი და „მენორა."

წარმატებით დასრულდა ბანაკი „განი ისრაელის" საზაფხულო არდადეგები. ბავშვებმა არა მარტო კარგად დაისვენეს და გაერთნენ, არამედ გაიგეს ბევრი ახალი და საინტერესო ებრაული ცხოვრების წესზე.

ავტორთა ჯგუფი და „მენორა" ულოცავს გამოჩენილ მეცნიერს, „ქართველ ებრაელთა ისტორიის" ავტორს ელდარ მამისთვალიშვილს 70 წლის იუბილეს და უსურვებს მას წარმა-ტებებს.

ბათ-იამში „აუდიტორიუმის" დარბაზში შედგა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის სპორტული კომისის თავმჯდომარის – დოქტორ ბორის ჩაჩანაშვილის წიგნის „საქართველოს ებრაელები სპორტულ სარბიელზე" პრეზენტაცია.

14-15 სექტემბერს გაიხსნა რეკონსტრუირებული, თბილისის აშკენაზთა ბეით ქნესეთი. საქართველოში უამრავი ადამიანი ჩამოვიდა სხვადასხვა ქვეყნიდან, რათა დასწრებოდნენ ამ ერთ-ერთი უძველესი სალოცავის გახსნას. პირველ რიგში ესენი გახლდნენ ის ადამიანები, ვინც აფინანსებდნენ ბეით ქნესეთის რეკონსტრუქციას, ბატონები: ალექსანდრე მაშკევიჩი, თემურ საპირი, დავით იაკობაშვილი, გაბრიელ მირილაშვილი, აგრეთვე: ისრაელის პარლამენტის წევრი, პარტია „შასის" ფრაქციის ხელმძღვანელი ქნესეთში აბრამ მიხაელი, ქნესეთის ყოფილი წევრი იცხაკ გაგულა, რაბინი იაკობ გაგულა, რუსეთის და უკრაინის ებრაული კონგრესის წარმომადგენლები, სასულიერო მოღვაწენი „ჯოინთის", სუხნუთის ლიდერები, მოსკოვის მთავარი რაბი, კიევის მთავარი რაბი, ბიზნესმენები: მერაბ ელაშვილი (მოსკოვი) თევფიქ არეფი (თურქეთი) ეაეკ-ის ვიცე-პრეზიდენტი მარკ შაბადი, ისრაელის პრესის, რადიო-ტელევიზიის წარმომადგენლები.

ბეით-ქნესეთის გახსნაზე გვეწვია საქართველოს პრეზიდენტი ბ-ნი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც ჯამაათს მიულოცა ებრაელებისათვის ეს მნიშვნელოვანი დღე და მათთან ერთად გაიზიარა დიდი სიხარული.

19 სექტემბერი – როშ ჰაშანა – ებრაელ ერს 5770-ე წლის დადგომას ულოცავენ: ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტი შიმონ პერესი, ისრაელის სახელმწიფოს პრემიერი ბინიამინ ნეთანიაჰუ, საქართველოში „ჯოინთის" წარმომადგენლები, ისრაელის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში იცხაკ გერბერგი, საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი და საქართველოს მთავარი რაბინის მ.შ. ავიმელეხ როზენბლატი.

„მენორა" 70 წლისთავს ულოცავს საქართველოს ებრაელთა მსოფლიო-კონგრესის აშშ განყოფილების პრეზიდენტს ბ-ნ **რომან ზაკს** (ცხვირაშვილს).

საქართველოს მწერალთა კავშირის გადაწყვეტილებით, ცნობილ მთარგმნელსა და პოეტს ნათან ბააზოვს მიენიჭა გალაკტიონის პრემია.

ნიუ-იორკში გამოვიდა მეცნიერის მიხეილ როკეტლიშვილის პუბლიცისტური წერილების ახალი წიგნი. წიგნში შესულია ქართველ ებრაელ მოღვაწეებზე დაწერილი წერილები.

შეადგინა
ლიდია ხომენკომ

ის კაცი იყო...

1 ნოემბერს თბილისის აშქენაზ ებრაელთა განახლებულ, ნათელ ბეით ქნესეთში საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოებამ და საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის საქართველოს წარმომადგენლობამ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პირველი პრეზიდენტის — მოშე (მიშიკო) მირილაშვილის დაბადების დღე აღნიშნეს.

მოშე (მიშიკო) მირილაშვილის დაბადების დღეისადმი მიძღვნილი საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ***როინ მეტრეველმა****:*

– სულ ცოტა ხნის წინათ ხელში მომხვდა ერთი გაზეთი. იქ იყო ბ-ნ მოშეს სურა-თი, რამდენიმე სიკეთით, სითბოთი და კეთილგანწყობით აღვსილი წერილი. ეს წერილები ეძღვნებოდა მოშე-მიშიკო მირილაშვილის ნათელ ხსოვნას. წერილების დებულება იყო ასეთი: კაცმა, თუ გინდა, სიკეთე აკეთო, თუ საშუალება გაქვს უნდა გასცე და როდესაც გასცემ, ორმაგად გიბრუნდება. ძალიან მენიშნა ეს ტენდენცია. მოგეხსენებათ, ბ-ნი მოშე (მიშიკო) მირილაშვილი აპრილში გარდაიცვალა და დღევანდელი დღე მისი მოსაგონარი დღე გახლავთ. საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოებამ და კონგრესის საქართველოს წარმომადგენლობამ გადაწყვიტეს, სწორედ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პირველი პრეზიდენტის მოშე (მიშიკო) მირილაშვილის მოგონების საღამო გაემართა დღეს – მისი დაბადების დღეს. მე თავს უფლებას მივცემ, ეს შეხვედრა გახსნილად გამოვაც-ხადო. აქ არიან ბატონები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ და მოიგონებენ ბ-ნ მოშეს და მინდა პირველი სიტყვა ვთხოვო საქართველოს ყოფილ ელჩს ისრაელში, შემდეგ სომხეთში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძეს:

რევაზ გაჩეჩილაძე:

– ქალბატონებო და ბატონებო, მოგვიანებით გავიგე, ბ-ნი მოშეს გარდაცვალების ამბავი, ჩემთვის ეს სიმართლე გითხრათ, თავზარდამცემი ცნობა იყო. მე არ ვიცოდი და შემთხვევით „მენორას" ფურცლებიდან შევიტყვე ამის შესახებ. ჩემთვის ეს იყო გამოუთქმელი წუხილი. თქვენ იცით, რომ

მე ექვსნახევარი წელიწადი ვმუშაობდი ისრაელში და აქედან საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაშიმქონდაურთიერთობამირილაშვილების ოჯახთან, უპირველეს ყოვლისა, ბატონ მიშიკოსთან. ეს არის წარუშლელი შთაბეჭდილება, რომელიც ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ერთმანეთის შესახებ. არ ვიცი, მე რაოდენი შთაბეჭდილება დავტოვე მასზე, მაგრამ მან ჩემზე ნამდვილად წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ის იყო ადამიანი, რომელიც შეიძლება ითქვას, ურთულეს პირობებში გაიზარდა, ძალიან მძიმე პერიოდი განვლო თავის მოღვაწეობაში, მაგრამ თავისი ნიჭით, გაქანებით, კაცთმოყვარეობით, მეგობრობით, ისეთი ქცევით, რომლითაც იგი ყოველთვის პოზიტიურ განწყობას იწვევდა გარშემომყოფთა შორის, ძალიან ბევრს მიაღწია. მიაღწია იმას, რომ შესძლო თავისი შვილები ფეხზე დაეყენებინა და მათაც თავის მხრივ ანალოგიურად შეეძლებათ გააგრძელონ მისი საქმე.

მე არასდროს არ დამავიწყდება, რომ ბ-ნ მიშიკოს წყალობით ჩემმა ქალიშვილმა შეძლო გადაეღო ფილმი იერუსალიმის შესახებ, სადაც იყო ნაჩვენები ჩვენი უდიდესი პატივისცემა იუდაიზმისა და იუდაიზმის ამ ცენტრის მიმართ, ჩვენი დიდი სიყვარული

ქრისტიანობის მიმართ, პატივისცემა ისლამის მიმართ, რადგან ეს არის სამივე რელიგიის ქალაქი და ეს ყველაფერი აისახა ამ ფილმში. თავად ბ-ნი მიშიკო ერთ-ერთი მონაწილეა ამ ფილმისა. მახსოვს, დიდი ხანი იღებდნენ მას და ძალიან ცდილობდნენ რაც შეიძლება, კარგად გამოჩენილიყო გოდების კედელი. ეს თითქოს სიმბოლურიც არის, რომ ასეთმა ადამიანმა ნამდვილად გოდების კედელთან თავისი ღვაწლი უნდა აღნიშნოს.

ბ-ნი მიშიკოს შვილები მიხო და კუსო, რომლებსაც მე კარგად ვიცნობ და ვმეგობრობ, ასეთივე ქველმოქმედები და კეთილშობილი ადამიანები არიან, როგორც მათი მამა იყო. როგორ წუხდა ბ-ნი მიშიკო თავის შვილის მძიმე ვითარებას, რომელიც მას შეიძლება ითქვას, აბსოლუტურად ხელოვნურად შეუქმნეს არამეგობრულ ქვეყანაში და როგორ ცდილობდა გამკლავებოდა თავად და ჩვენ — ყველა, არა მხოლოდ ჩვენი საელჩო, არამედ ქართველები, არა მარტო ქართველი ებრაელები, ეთნიკური ქართველებიც მოწადინებული ვიყავით იმისათვის, რომ როგორმე შეგვემსუბუქებინა ეს ტვირთი მისთვის. მადლობა ღმერთს, რომ ახლა იგი უკვე დაუბრუნდა ოჯახს, სამშობლოს და ისინი ისევე ზრუნავენ ისრაელზე, როგორც საქართველოზე. ნამდვილი სამშობლო მათთვის მაინც საქართველოა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცხოვრობენ და მოღვაწეობენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში.

მე მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გიძღვნათ ყველას, რომ მობრძანდით აქ. დიდი მადლობა ვუთხრა ბ-ნ გურამ ბათიაშვილს, რომელმაც მითხრა, რომ დღეს იქნებოდა ეს ღონისძიება და პირველი სიტყვა მომცა, იმიტომ რომ ახლა მივემგზავრები ჩინეთში და შემოვედი აქ იმისათვის, რომ პატივისცემა გამომეხატა ბ-ნ მიშიკოს ხსოვნისადმი. გმადლობთ ყურადღებისთვის.

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის გენერალური დირექტორი **ჯემალ აჯიაშვილი:**

– ბოდიშს მოგიხდით, ვიცი, აქ ჩემზე უფროსებიც იმყოფებიან, მაგრამ მეც მივფრინავ და ამიტომ ნება მომეცით ვთქვა ორიოდ სიტყვა. ბ-ნმა რეზომ ბრძანა ბ-ნ მიშიკო მირილაშვილზე და მართლაც, ეს იყო კაცი, რომელიც შეიძლება ითქვას,

საქართველოს ებრაელობის ისტორიაში ოქროს ასოებით შევიდა. რა თქმა უნდა ბევრი აქვს ბ-ნ მიშიკოს გაკეთებული თუმცა, ერთი ღვაწლი, რომელიც მას მიუძღვის ქართველი ებრაელების და საქართველოს წინაშე დარჩება, ალბათ, ისტორიას. იგი იყო თაოსანი, მოთავე და ინიციატორი საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის შექმნისა. მოგეხსენებათ, ქართველი ებრაელები გაფანტულები არიან მთელი დედამიწის ზურგზე, ძირითადი რაოდენობა მათი არის ისრაელში, მაგრამ არიან შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ავსტრიაში, ბელგიაში და ა.შ. ბ-ნი მიშიკოს გონება-გამჭრიახობა, სწორედ ამაში იყო: მიხვდა იმას, რომ ქართველი ებრაელები, რომლებიც იყვნენ ავსტრიაში, ავსტრალიაში, ევროპაში, სხვაგან და სხვაგან, თავიანთ მომავალ თაობებთან ნელ-ნელა გაწყვეტდნენ კავშირს, კავშირს იმ ძირებთან, რომელიც მათ ამთლიანებდა, იმიტომ რომ, დრო მიდის, ცხოვრება მიდის, ავსტრალიაში ბავშვი დაიბადება უკვე ავსტრალიის მოქალაქედ, ამერიკაში — ამერიკის მოქალაქედ და ეს ბუნებრივი პროცესიც არის, ამას წინ ვერავინ აღუდგება. ბ-ნ მიშიკოს სიტყვები დღემდე მახსოვს – უნდა გაერთიანდეს მთელი მსოფლიოს ქართველი ებრაელობა, უნდა შეიქმნას ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესი, რომ ახსოვდეთ ძირი საიდან მოდიანო. ეს იყო ძალიან დიდი, მე ვიტყოდი ისტორიული ნაბიჯი და ამაში უდიდესია ბ-ნი მიშიკოს ღვაწლი. მე ცოტა ხუმრობით ვუთხარი ბ-ნ მიშიკოს, რომ თითოეული პიროვნება და ადამიანი არის თვითოეული სიტყვის ცალ-ცალკე ასო-ბგერა და ეს ასოები თავისთავად, ცალკე ვერაფერს ვერ გააკეთებენ, თუ არ გამთლიანდნენ, უნდა შეიქმნას სიტყვა და ეს სიტყვა იყო სწორედ ბ-ნი მიშიკოს მიერ შექმნილი კონგრესი. ბატონი მიშიკო იყო უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, ნამდვილი ქველმოქმედი, უაღრესად მოკრძალებული. ცხოვრობდა ებრაული და ქართული კაცთმოყვარეობის კანონებით. იგი ხელმძღვანელობდა მოსეს მცნებებით. მოგეხსენებათ, რომ მოსემ თავისი ათი მცნება მიიღო ორ დაფაზე და რატომ მიიღო მან ეს მცნებები, არა ერთ დაფაზე, არამედ ორზე? ერთი განსაზღვრავს ადამიანის ურთიერთობას ადამიანთან, მეორე კი ადამიანის ურთიერთობას ღმერთთან. ბ-ნი მიშიკოც ხელმძღვანელობდა სწორედ იმ მცნებით, რომ მთავარი იყო ადამიანი, ადამიანთან ურთიერთობა, მისთვის სიკეთის კეთება. აქედან მოდიოდა შემდგომ მისი ღვთაებრივი სიყვარული და რელიგიურობა. ასეთი კაცი გახლდათ იგი და ცხოვრებაში ყველაზე ახდენდა დიდ შთაბეჭდილებას, იგი საოცრად მოკრძალებული იყო, მაგრამ ამავე დროს, საოცრად ღრმა. ერთი შემთხვევა მახსენდება ბ-ნი მიშიკოს საოცარი შინაგანი ბუნებიდან: ერთხელ კონგრესში მოვიდა ქალბატონი, რომელიც გახლდათ დიდი წარსულის მქონე, მაგრამ ისე მოხდა, რომ ძალიან გაუჭირდა. დიდი მოკრძალებითა და რიდით მოვიდა ბ-ნ მიშიკოსთან. ბ-ნი მიშიკო გაესაუბრა მას და მითხრა, იქნებ, რაიმე დავალება მივცეთ, რომელსაც ნუ მივადევნებთ თვალ-ყურს შეასრულებს თუ არა მას და გამოვუწეროთ თანხა, რადგან რაიმე დავალება რომ არ მივცეთ, შეიძლება მოერიდოს და ეს თანხა არ აიღოსო. აი, ასეთი ჭეშმარიტი ქველმოქმედი გახლდათ იგი, რომელიც თავის ქმედებებს არ ახმიანებდა. მახსენდება ასეთი სიტყვები „ყველა მდინარე ზღვას შეუერთდება, ზღვა კი მაინც არ აღივსებაო". მის პერიფრაზირებას ებრაელები შემდეგნაირად აკეთებენ: ყველა დრო წარსული დროისკენ მოედინება, მაგრამ წარსული დრო მაინც არ აღივსებაო. ბ-ნი მიშიკო, შეუერთდა ამ წარსულს დროს, მაგრამ წარსულ დროში ჩვენ გვყავს ისეთი აჩრდილები, დიდი ებრაელები, დიდი ქართველები, მსოფლიოს ასე ვთქვათ, დიდი ადამიანები.ზოგი შეიძლება იყოს მეცნიერი, ზოგი სულიერების მოძღვარი, ზოგიც უბრალოდ, ქველმოქმედი ადამიანი და მათ შორის ზღვარი არ არსებობს. აი, ასეთი ადამიანები, როგორც ბ-ნი მიშიკო იყო, გვეხმარებიან ჩვენ იქიდანაც, სადაც არიან და გაანათოს ღმერთმა მისი სული!

ბ-ნი როინ მეტრეველი:

– რამდენიმე წლის წინათ სანქტ-პეტერბურგში ვიმყოფებოდი. ეს დრო სწორედ დაემთხვა იმ დროს, როცა ბ-ნი მიშიკოს შვილი გაუგებრობაში მოყვა და თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა დამწუხრებული იყო იქაური ქართული სათვისტომო, რა დიდი პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი მისი და მისი ოჯახის მიმართ.

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარე, კონგრესის წარმომადგენელი საქართველოში **გურამ ბათიაშვილი:**

– ბ-ნი მიშიკოს ხსოვნის დღე საქართველოში, ადრეც უნდა გაგვემართა, ეს ჩვენი საზოგადოებრივი ვალი იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს გადაიდო და ძალიან კარგია, რომ ასე მოხდა, რადგან ეს შენობა — განახლებული ბეით-ქნესეთი

— მაშინ ჯერ კიდევ არ იყო. როდესაც ვფიქრობდი, თუ სად ჩამეტარებინა ბ-ნი მიშიკოს ხსოვნის დღე, ერთმა ჩემმა მეგობარმა მირჩია, სწორედ აქ ჩამეტარებინა ეს შეხვედრა: სწორედ მისმა ერთ-ერთმა ვაჟმა მიიღო ძალიან მნიშვნელოვანი მონაწილეობა ამ ჩინებული შენობის აგებაში. პირველ სართულზე — სინაგოგის დარბაზში, დგას მოშე მირილაშვილის აჰარონ ჰაკოდეში, ასე მგონია, აქ ამ შენობაში მისი სული ტრიალებს და მე მინდა, რამინ იაკობიშვილს დიდი მადლობა გადავუხადო იმისათვის, რომ ეს იდეა მომანოდა, თორემ განვიხილავდით ებრაული სახლის ვარიანტსაც, პიონერთა სახლის სარკეებიან დარბაზსაც.

რასაკვირველია, ბ-ნ მიშიკოზე ძალიან ბევრის თქმა შემიძლია, მაგრამ შემოვიფარგლები რამდენიმე სიტყვით. აქ არიან ადამიანები, რომლებსაც აგრეთვე ძალიან სურთ მასზე საუბარი. მე რამდენიმე მოგონებას გაგიზიარებთ მხოლოდ იმ დღეებიდან, როდესაც ჩვენ ვქმნიდით კონგრესს. ეს გახლდათ 2002 წელი, იყო დიდი ბჭობა, სამზადისი, გეგმები. დარბაზში მე ვხედავ ავთო აბრამიშვილს, ჩვენ მეგობარს, რომელიც არის ალბათ, ერთადერთი მოწმე იმ ბატალიებისა, რაც ჩვენ გვქონდა. როდესაც საკითხი დადგა იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა გამხდარიყო პრეზიდენტი. თავიდან ეს რასაკვირველია, იყო სხვანაირად განსაზღვრული: პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო მისი უფროსი ვაჟი, სწორედ მიხო მირილაშვილი, შესანიშნავი მოღვაწე და პიროვნება, თუმცა, მოგეხსენებათ, რა სიტუაციაში მოხვდა ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ. შემდეგ გაჩნდა ფიქრი იმაზე, რომ ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტი გახდებოდა კუსო მირილაშვილი, მაგრამ მან კატეგორიული უარი განაცხადა ამაზე და თქვა, რომ პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო მისი მამა – მიშიკო. მინდა გითხრათ, ვინ იყო ამდროისთვის ბ-ნი მიშიკო. რა თქმა უნდა, შესანიშნავი პიროვნება, ძალიან ღირსეული ადამიანი, კულაშში გაზრდილი, კულაშის ერთ-ერთი ფაბრიკის მესვეური — ადმინისტრაციული მუშაკი საკმაოდ გამოცდილი, ძალიან კარგ ოჯახში გაზრდი-

ლი. მე არ მახსოვს მისი მშობლები, მაგრამ ჰყავდა შესანიშნავი სიმამრი – ბატონი ილია ბოთერაშვილი. ის იყო ალბათ, მთელი სკოლა მისთვის. როგორც გითხარით ბ-ნი მიშიკო კატეგორიული წინააღმდეგი იყო პრეზიდენტად არჩევისა. მიიჩნევდა, რომ ეს მისი ამპლუა არ იყო და ალბათ, იმ პერიოდში ეს მართლაც ასე იყო. ყველაფერს ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ გაჩვენოთ, რა შეიძლება მოხდეს ადამიანში, როდესაც ადამიანს ძალიან სურს ქვეყნის, ხალხის სიკეთე. დაახლოებით 6-10 თვეში, ჩემს თვალწინ ხდებოდა ეს გარდაქმნა, ბატონი მოშე ჩამოყალიბდა მართლაც სერიოზულ პრერზიდენტად. პრეზიდენტად, რომელიც ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდფა ყოველი ადამიანის გასაჭირს. ერთხელ ვისხედით და ვსაუბრობდით კონგრესის მუშაობაზე, საჭირბოროტო საკითხებზე, მოგეხსენებათ, მე იქ თანათავმჯდომარე გახლავართ და ვთქვი, რომ კი რა თქმა უნდა, რელიგიას უნდა მივაქციოთ ყურადღება, გაჭირვებულებს უნდა დავეხმაროთ, მაგრამ არის ჩვენი ისტორია, რომელიც უნდა შევისწავლოთ, ერის კულტურა, მეცნიერება არის ათასი ისეთი საკითხი, რომელიც კონგრესისთვის უნდა გახდეს ისეთივე პრიორიტეტული, როგორც არის მძიმე დღეში ჩავარდნილთა მიხედვა. მან თავი დააქნია, კი ეს ყველაფერი გასაგებიაო, მაგრამ ხალხს უჭირსო და ხალხს უნდა დავეხმაროთ. ე.ი. მან უპირველესყოვლისა, ჩათვალა ყველაზე მნიშვნელოვნად გაჭირვებულთა დახმარება, მაგრამ როდესაც გაჩნდა იდეა დაგვეფინანსებინა ებრაულ ენაზე გალაკტიონის ლექსების თარგმნა და გამოცემა დავიწყეთ ამისათვის სამზადისი, და ამის თაობაზე ვესაუბრეთ, იგი ერთი წამითაც არ დაფიქრებულა, მაშინვე დათანხმდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ დიდ ფინანსებს მოითხოვდა. მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ჩვენ მივიღეთ ამაში მონაწილეობა და გალაკტიონ ტაბიძის 30 შედევრი ითარგმნა ებრაულ ენაზე. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ძალიან ხშირად ისრაელის ლიტერატურულ წრეებში ამაზე არის საუბარი.

დღეს არის მიშიკო მირილაშვილის დაბადების დღე, მე ამიტომაც მოვინდომე დღეს ჩამეტარებინა მისი მოგონების საღამო. ვფიქრობ, რომ ჩვენ ძალიან კარგად გამოგვივიდა ეს, რადგან თქვენ ხართ არა გარდაცვალების დღეზე, არამედ დიდი ადამიანის დაბადების დღეზე მოსული. იმ ადამიანისა, რომელმაც თავისი ცხოვრების მიზნად დაისახა ხალხის გასაჭირის შემსუბუქება, მისცეს ხალხს ის, რაც სჭირდება. აქ ჯემალი საუბრობდა გაერთიანების თაობაზე, რა საკვირველია, ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მისია, ავთო არ მომცემს მოტყუების უფლებას, მაგრამ მთავარი შემდეგ, ქართველ ებრაელთა ამ გაერთიანებაში ალბათ, იმათი დახმარება გახდა, ვინც ამას ძალიან საჭიროებს. ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩვენ დღეს ძალიან კარგი და დიდი ადამიანის დაბადების დღეს აღვნიშნავთ. ადამიანის, რომელმაც საქართველოს ებრაელობას ძალიან ბე-ვრი რამ შესძინა, კეთდებოდა ისეთი საქმეები, რომლებიც მის სახელს კიდევ უფრო წარმოაჩენდა, თუმცა, იგი ყოველთვის ჩუმად, უმეტეს შემთხვევაში გაუხმაურებლად აკეთებდა ამას.

ყოველი თქვენთაგანის მადლობელი ვარ, რომ დღეს აქ მობრძანდით და კიდევ ერთხელ ჩვენ ხალხს მინდა ვუსურვო ისეთი ადამიანები, როგორიც იყო მოშე (მიშიკო) მირილაშვილი. ბევრი დაბადებულიყოს საქართველოს ებრაელობაში.

პროფესორი **გივი წიწუაშვილი:**

— მე ბატონ მიშიკოს საქმიანობაზე ზოგადად ვისაუბრებ, რადგან ისეთი ხანგრძლივი ურთიერთობა, როგორც გურამს და ბ-ნ ჯემალს ჰქონდა, მე არ მქონია, მაგრამ იმ ხანმოკლე ურთიერთობამ, ძალიან დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე.

როდესაც ბ-ნი მიშიკო გარდაიცვალა, კონგრესმა გამოსცა გაზეთი, თუ მე სწორედ მახსოვს, სათაურით „ეს ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა". მინდა ვთქვა, რომ ბ-ნი მიშიკო ბრძანდებდა სწორედ ისეთი ადამიანი, რომლის მთავარი იდეა იყო ხალხის დახმარება. არის ადამიანების ორი კატეგორია, პირველი: რომლებიც ითხოვენ თავისთვის რაღაცას და მეორე, რომლებიც გასცემენ. ბ-ნი მიშიკო გასცემდა ამ სიკეთეს და არა მარტო ისრაელში, ყველ-



გან, სადაც მისი ხალხი ამას საჭიროებდა.

მისი დამოკიდებულება, საქმისადმი, მეცნიერებისადმი იყო უზადო: ერთხელ კონგრესში გახლდით. იყო ასეთი პროექტი გამოგვეშვა წიგნი „ებრაელი ექიმები საქართველოდან". მაშინ არც დაფიქრებულა ბ-ნი მიშიკო ამ წიგნის გამოშვება არგამოშვებაზე, მისი მხარდაჭერა იყო ძალიან მნიშვნელოვანი. თუმცა, სხვებმა მერე ხელი შეგვიშალეს. დღეს ეს წიგნი გამოვიდა. დარწმუნებული ვარ, ბ-ნი მიშიკო ძალიან მოხარული იქნებოდა ამის გამო. მეორე მხარე, როდესაც მან მხარი დაუჭირა მეცნიერულ მოძრაობას, ეს იყო იმ კონფერენციებისა მხარდაჭერა, რომლებსაც ჩვენ ვატარებთ პერიოდულად ისრაელში. წელს ჩავატარეთ მეხუთე კონფერენცია და მოხარული ვარ, რომ იგი მიეძღვნა ბ-ნ მიშიკოს ხსოვნას. მინდა აგრეთვე აღვნიშნო, რომ წლევანდელი კონფერენცია გამორჩეული იყო თავისი მეცნიერული მონაცემებით, შინაარსით და შემადგენლობით. ეს რაც შეეხება საქმიან ურთიერთობებს, მეორე მომენტი ჩემი და ბ-ნ მიშიკოს ურთიერთობისა, გახლდათ ექიმის და ავადმყოფის დამოკიდებულება. თქვენ კარგად იცით, რომ ზოგიერთი ავადმყოფი, რომელსაც აქვს თანამდებობა, აქვს ფული, ექიმს, ასე ვთქვათ, ზევიდან უყურებს. ბ-ნი მიშიკო იმ ავადმყოფობაშიც ინარჩუნებდა სიკეთეს და იმ ადამიანობას, რაც აი, იმ გაზეთში იყო ჩამოყალიბებული. არასდროს ყოფილა ისეთი შემთხვევა, ვთქვათ, ხაზი გაესვა იმისათვის, რომ იგი ასეთი თანამდებობის, მდიდარი ადამიანი ექიმს იყენებს, როგორც თავის მსახურს.

ჩვენი ურთიერთობა იყო მეგობრული, როგორც საქმიანობაში, ასევე ექიმსა და პაციენტის დამოკიდებულებაში და დარწმუნებული ვარ, რომ ბ-ნი მიშიკოს წასვლა ძალიან დიდი დანაკლისია არა მარტო ქართველი ებრაელებისათვის და ებრაელებისთვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვის, იმიტომ რომ იგი ზრუნავდა მთელ კაცობრიობაზე.

საქართველოს ყოფილი დესპანი ისრაელში, იურისტი ბ-ნი **ანზორ ბალუაშვილი**:

– დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ მშვენიერი თავყრილობისათვის, ბ-ნი მიშიკო ნამდვილად იმსახურებდა ამას და იმ თბილ სიტყვებს, რომელიც აქ ითქვა.

რამდენიმე ხნის წინ შესაძლებლობა მომეცა გამეცნო თელ-ავივში გამოსული გაზეთი „ის კაცი იყო, ვით:..." რომელიც უაღრესად მაღალპროფესიონალურ დონე-

ზეა, როგორც შემოქმედება, ასევე პოლიგრაფია. იქ ბევრი რამ წავიკითხე ბ-ნ მიშიკოზე. რომ გითხრათ, ძალიან დიდი ხნის ურთიერთობები მაკავშირებდა ბ-ნ მიხეილთან-მეთქი არ ვიქნები გულწრფელი თქვენს წინაშე, მაგრამ არის რიგი მომენტისა, როდესაც გრჩება წარუშლელი შთაბეჭდილება პიროვნებისაგან და არის რაღაც ზეკაცობრიული.

მახსოვს, ეს იყო 2002 წელი, რუსეთის ელჩმა ისრაელში მთხოვა, სტუმრად მივსულიყავი სასტუმრო „დევიდ კონტინენტალში" სტუმარი მყავს და იქნებ, თქვენც მობრძანდეთო. რა თქმა უნდა, ავედი, იმჟამინდელი რუსეთის ჯანდაცვის მინისტრი შევჩენკო იყო ჩამოსული, ჩვენი ქუთაისელი შალვა მარდი, რომელიც მასპინძელი გახლდათ, რუსეთის, ელჩი რასაკვირველია და დიდი ხნის უნახავი ბ-ნი მოშე. და აი, რამ გამოიწვია ჩემი გაკვირვება, დაახლოებით 40 წუთის შემდეგ ბ-ნი მოშე მოუსვენრობამ შეიპყრო, ბოლოს მომიბრუნდა და მითხრა, ერთი ბავშვია, საქართველოში მიემგზავრება, ის უნდა ვნახო და სათამაშო გადავცეო. ბოდიში მოიხადა და დაგვტოვა. ეს ბავშვი ეთნიკურად ქართველი გახლდათ, მშობლებს საოპერაციოდ ჩამოეყვანათ. მის მშობლებს ვიღაცამ უთხრა, რომ აქ ქართველი ებრაელები არიანო და მათ მოშე მირილაშვილს მიაკითხეს დახმარებისთვის. მირილაშვილებმა რა თქმა უნდა, ყველაფერი გაუკეთეს და განკურნებულ ბავშვს, რომელიც საქართველოში ბრუნდებოდა, ბ-ნმა მიხეილმა საჩუქარიც კი გადასცა. რა თქმა უნდა, ჩემში ამან ძალიან დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. შემდეგ როდესაც მე მისი სადღეგრძელო ვთქვი, მივმართე ბ-ნ შევჩენკოს და ვუთხარი, თუ რატომ წავიდა ბ-ნი მიშიკო. მან შემდეგ თვითონაც თქვა, რომ პეტერბურგში ბევრ ეთნიკურ ქართველს, აგრეთვე ქართველ ებრაელს იცნობდა პირადად და მიაჩნდა, რომ ერს, რომელსაც ასეთი წარმომადგენლები ჰყავს, ის ერი არასოდეს დაიღუპება. ეს იყო ყველაზე შთამბეჭდავი ეპიზოდი ჩემი და ბ-ნი მიშიკოს გაცნობიდან, შემდეგ რა თქმა უნდა, გავიცანი მისი ვაჟი კუსო და არაერთი შეხვედრა გვქონდა, მაგრამ მე მინდა ხაზი გავუსვა ადამიანის დიდბუნოვნების, მოღვაწის, კეთილად მოაზროვნის და ქველმოქმედის, რომელსაც ძლიერ უყვარდა თავისი ქვეყანა, კულაში, ქუთაისი და სრულიად საქართველო. დიდი მადლობა.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ქ-ნი **ლელა წიწუაშვილი:**

– უპირველეს ყოვლისა, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ აქ ჩემი მოწვევისთვის, ეს ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, განსაკუთრებით ასეთ შესანიშნავი, განახლებულ სინაგოგის დარბაზში.

მე ბ-ნ მიხეილ მირილაშვილთან ძალიან მცირე ეპიზოდი მაკავშირებს, მაგრამ ეს მცირე ეპიზოდი უმნიშვნელოვანესია ჩემს ცხოვრებაში, უდიდესი კვალი დატოვა სწორედ იმ ეპიზოდმა და ალბათ, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ეს დარჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად.

შარშან, ზუსტად ერთი წლის წინ, 19

ოქტომბერს ვიმყოფებოდი ისრაელში ქ. აშდოდში აღინიშნებოდა ქართველ ებრაელთა დღე, იქ ბრძანდებოდა კონგრესის თანამშრომელი ბ-ნი დავით შიმშილაშვილი, რომელიც ადრე დაესწრო ჩემს მიერ მოწყობილ გამოფენებს, მიწვევით აღმოვჩნდი საპატიო სტუმრის სტატუსით. მაგრამ ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, როდესაც ქ. აშდოდში გაიმართა ეს უზარმაზარი ღონისძიება, მიმიწვიეს სცენაზე და სიურპრიზი გამიკეთეს, დამაჯილდოვეს. ჯილდო გადმომცა პირადად ბ-ნმა მიხეილმა. ჩემთვის ეს, მართლაც, ძალიან ამაღელვებელი მომენტი იყო ცხოვრებაში, იმიტომ რომ ჩემი მოკრძალებული ღვაწლი, რასაც ვცდილობ გავაკეთო, ასეთი დიდი პატივით იქნა აღნიშნული. გარდა ამისა, ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბ-ნ მიხეილთან უშუალო შეხვედრამ. ადამიანი, რომლის შესახებაც მე ვიცოდი ბევრი რამ, მაგრამ არ ვიცნობდი პირადად, ვიცოდი მისი მოღვაწეობის შესახებ და იმის შესახებ, თუ რა ღვაწლი აქვს კონგრესს ქართველ ებრაელთა წინაშე და რაოდენ კეთილშობილურ საქმიანობას ეწევიან. მინდა გითხრათ ჩემი უშუალო შთაბეჭდილება და ემოცია. საერთოდ, არაერთხელ დავრწმუნდი უკვე, რომ ცხოვრებაში, რაც უფრო მეტად კეთილშობილია ადამიანი, რაც უფრო მდიდარია შინაგანად, მით უფრო მოკრძალებულია და თავმდაბალი. ბ-ნი მიხეილი სწორედ ასეთი პიროვნება იყო. ძალიან უბრალო და უშუალო, შეიძლება ითქვას, ამ ხნის ადამიანს რაღაც ბავშვური ჰქონდა გამოხედვაში, ძალიან თბილი და ეს თვისება მხოლოდ ძალიან კეთილშობილ ადამიანს შეუძლია შეინარჩუნოს ხანდაზმულ ასაკში. უაღრესად დიდი სითბო და პატივისცემა გამოიწვია ჩემში და ვგეგმავდით სამომავლოდ ახალ პროექტებს, თუმცა, საუბედუროდ, ბ-ნ მიხეილს არ დასცალდა. მინდა გითხრათ, რომ ისრაელში უაღრესად დიდ სითბოს, სიყვარულს და პატივისცემას გამოთქვამენ კონგრესის და პირადად ბ-ნ მიხეილის მიმართ.

ძალიან კარგია, რომ სწორედ მისი დაბადების დღეს აღვნიშნავთ. ბედნიერი ვარ, რომ სწორედ დაბადების დღეზე ვიმყოფები აქ თქვენთან ერთად. იგი ჩემს მეხსიერებაში წარუშლელ მოგონებად დარჩება.

ბიზნესმენი ბ-ნი **რამინ იაკობაშვილი:**

– მოგეხსენებათ ბრძნული გამონათქვამი: სამყაროს არსებობა სამ რამეს ეყრდნობა – თორას (ბიბლია), ღმერთის სამსახურს და ქველმოქმედებას.

2003 წლის იანვრის თვეში შეიქმნა ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესი, რომელიც ეყრდნობოდა მიზანს – გვერდში ამოუდგეს თავის ხალხს გაჭირვებასა თუ დალხინებაში და რაოდენ სასიამ-



ოვნო იყო იმის გაგება, რომ ამ კონგრესის დამფუძნებელი და შემდგომში პრეზიდენტი გახლდათ ჩემთვის ახლო ნაცნობი და შეიძლება ითქვას, მეგობარი, ბ-ნი მიხეილ მირილაშვილი. ბ-ნი მიხეილი იყო საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიერ შექმნილი, კულაშის (სამტრედიის რ-ნი) ხაოიანი ფაბრიკის მთავარი ინჟინერი. ეს ის პერიოდია, მეგობრებო, როდესაც ქართველ ებრაელებს, ცუდად ნუ გამიგებთ ახალგაზრდები, ასეთ თანამდებობაზე ნაკლებად თუ იხილავდით.

აღსანიშნავია ბ-ნი მიხეილის მეგობრული დამოკიდებულება კოლეგებთან. იგი ძალიან უბრალოდ შემოდიოდა პირად კონტაქტში და გაყვარებდა თავს. იყო მრავალთა გზაზე დამყენებელი, გაჭირვებულთა შემწე, მძიმე მდგომარეობაში მყოფ თანამოძმეთა პირველი დამხმარე და სწორედ, ამიტომაც თან გაიყოლა უზომო პატივისცემა და სიყვარული – ყველასი, ვინც კი მას იცნობდა.

მართალია, გამოაკლდა ჩვენ ერს ეს მეტად ძვირფასი ადამიანი, მაგრამ დაგვიტოვა საუნჯე: ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესი, თავისი ლამაზი ოჯახი და შესანიშნავი ვაჟები, რომლებიც არიან გამგრძელებლები მამის საქმიანობისა.

მე ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე პა-

ყოველთვიური საერთაშორისო მიმოხილვა

რუბრიკას უძღვება
თემურ იაკობაშვილი

ნობელის პრემიისა და ტელიავინის კომისიის დასკვნის თაობაზე

ამ მოკლე ხნის განმავლობაში საერთაშორისო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში ბევრი თემა იყო, მაგრამ ყველაზე უცნაური ალბათ, მაინც ამერიკის პრეზიდენტისთვის ნობელის პრემიის მინიჭება გახლდათ, რამაც უნებლიე კითხვა დაბადა და ინტერპრეტაციებიც საკმაოდ ნაირნაირი იყო. პრინციპში ერთ რამეზე თანხმდება ყველა, რომ ეს პრემია გარკვეულწილად ავანსია, ოღონდ რისი ავანსია, ყველა თავისებურად ცდილობს ინტერპრეტირებას.

ვფიქრობ, რომ ეს არის ერთგვარი ნოსტალგიის გამოხატულება, კერძოდ კი, ამერიკის ლიდერობის ნოსტალგიისა. მსოფლიო უკეთესი არ გახდა მას მერე, რაც ამერიკის ლიდერობა მსოფლიოში შესუსტდა. ჩვენ ვხედავთ, რომ საკმაოდ ბევრი დიქტატორული რეჟიმი გათავხედდა, ვხედავთ, რომ ამერიკის ასე ვთქვათ, რაღაცა ფორმით შესუსტებამ გამოიწვია სერიოზული დეგრადაციული პროცესები მსოფლიოში ადამიანის უფლებების დარგში და ისეთი თავხედობები, რომლებზეც მიდიან რუსები, შეუძლებელი იქნებოდა იმ პირობებში, როდესაც ამერიკა გაცილებით ძლიერი იქნებოდა. ვფიქრობ, ეს არის გარკვეულწილად ავანსი აი ამ ლიდერობის გამოსავლენად, რომელსაც მისგან პირველ რიგში ევროპა და შემდეგ უკვე დანარჩენი მსოფლიო ელოდება.

საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ მოკლე ხანს ხდებოდა, რაღა თქმა უნდა, გახლდათ ტალიავინის კომისიის დასკვნა, ჩემი აზრით, ეს საკმაოდ საინტერესო დასკვნა იყო, იმ თვალსაზრისით, რომ მასში ასახული ფაქტების ოქმის 100% არის საკმაოდ აკურატული და სიმართლე, ვისურვებდი, რომ იმ ფაქტებს კიდევ დამატებოდა სხვა ფაქტებიც, რომლებიც სამწუხაროდ, არ აისახა ამ ანგარიშში, მაგრამ ფაქტობრივი თვალსაზრისით, ეს ანგარიში საკმაოდ აკურატულია. მისი ინტერპრეტაციების დიდი ნაწილიც, საკმაოდ აკურატულია და სიმართლეს შეესაბამება. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში არის ისეთი ადგილები, სადაც კომისიის ანგარიში უშუალოდ საკუთარ თავს, ანუ მოყვანილ ფაქტებს ეწინააღმდეგება, მაგალითად: როდესაც ლაპარაკია იმაზე, რომ რუსმა სამშვიდობოებმა თავიანთი მისია პირნათლად შეასრულეს, იქვე წერია, რომ რუსები ეხმარებოდნენ სეპარატისტებს შეიარაღებაში, პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებდნენ. აქვე წერია, რომ რუსეთიდან შემოვიდნენ დიდი რაოდენობით ბოევიკები, ასევე ის, რომ 7 აგვისტომდე შემოვიდნენ რუსეთის რეგულარული ჯარის სხვა ქვედანაყოფები, არასამშვიდობო ბატალიონი. ამ ყველაფრის აცილება, ზუსტადაც სამშვიდობო მანდატში შედიოდა და ამას როგორღა ასრულებდნენ, თუ ეს ყველაფერი ხდებოდა?

მიგვაჩნია, რომ დოკუმენტში არის ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლებიც დეოკუპაციისთვის ძალიან სოლიდურ ბაზას ქმნის. პირველ რიგში ლაპარაკია იმაზე, რომ ყველა არგუმენტი, რომელიც რუსეთის ფედერაციამ მოიყვანა, რის გამოც მან დაიწყო ომი, ამ ანგარიშის მიერ არის გაბათილებული. აქ ცალსახად წერია, რომ არანაირი გენოციდი არ ყოფილა და ადგილი არ ჰქონია ასეთ ფაქტებს. წერია ისიც, რომ ვერანაირად დასტურდება ქართული შეიარაღებული ძალების მხრიდან რუს სამშვიდობოებზე თავდასხმა. ასევე ცალსახად წერია, რომ პასპორტიზაციის პროცესი, რომელიც რუსეთმა განახორციელა იყო აშკარად უკანონო, შესაბამისად საკითხის ასე დაყენება თითქოს ის იცავდა თავის მოქალაქეებს, იყო უკანონო. ანუ სამივე მიზეზი, რის გამოც ითვლებოდა, რომ რუსეთმა დაიწყო ომი, რასაც რუსეთი აცხადებდა, გამოცხადებულ იქნა არალეგიტიმურად და საერთაშორისო ნორმების დარღვევად. ცალსახად არის საუბარი იმაზე, რომ რეგიონში მოხდა ქართველების ეთნიკური წმენდა, ამიტომ ვფიქრობ: ეს ფაქტები და ეს შეფასებები არის საკმაოდ სოლიდური საფუძველი იმისა, რომ ჩვენ უკვე გაცილებით სხვა, წინა პირობებთან შედარებით იურიდიულ და ფაქტობრივ ბაზაზე, ვაწარმოოთ ჩვენი მხარის დეოკუპაციის პროცესი.

მნიშვნელოვანია ასევე ის რეაქცია, რომელიც ჰქონდა ამ რეპორტთან მიმართებაში საერთაშორისო თანამეგობრობას და განსხვავებით მედიისა, რომელმაც პირველ რიგში დაიწყო საუბარი იმაზე, თუ ვინ დაიწყო ომი, რაც პრინციპში არ ყოფილა ამ დოკუმენტის თემა და ბოლო მომენტში არ წერია არსად, რომ საქართველომ ომი დაიწყო. საექსპერტო შეფასებები, პოლიტიკოსთა შეფასებები, არის ძალიან ცალსახა – მოხდა საქართველოს მიზანმიმართული ოკუპაცია, სამხედრო აგრესია განხორციელდა საქართველოს წინააღმდეგ და მსოფლიო არ აპირებს შეეგუოს ამ აგრესიის შედეგებს, ანუ არანაირი ცნობა, არანაირი, ასე ვთქვათ, რამე ფორმით ლეგალიზება რუსეთის საოკუპაციო ჯარებისა, არ იგეგმება არც ერთ დონეზე. ეს ძალიან ღიად არის დაფიქსირებული მსოფლიოს მრავალი ლიდერის გამოსვლაში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნაში და რაც ჩვენთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, მოხერხდა გაეროში ისეთი რეზოლუციის მიღება, რომელიც კიდევ ერთ იურიდიულ საფუძველს ქმნის ჩვენი დევნილებისა და ლტოლვილების საკუთარ სახლებში დასაბრუნებლად. ილუზია არავის არ აქვს, რომ ეს ყველაფერი მოხდება ხვალ. ამისათვის საჭიროა, მსოფლიო პოლიტიკაში მოხდეს ტექნიკური ძვრები, მაგრამ საფუძვლები დეოკუპაციისთვის დღეს გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენ გვქონდა აქამდე და დღეს ყველაფერს თავის სახელი დაერქვა: ეს არის არა სეპარატისტული რეგიონები, არამედ ოკუპირებული, რომ საქმე გვაქვს არა აფხაზებთან გადამეტებულ ქართველებთან, არამედ რუსეთის მიზანმიმართულ პოლიტიკასთან საქართველოს წინააღმდეგ. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენ მოვახერხეთ ჩვენი სიმართლის დადგენა უკვე საერთაშორისო დონეზეც.

ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ყველაზე აღსანიშნავი ალბათ არის ის, რომ მედიათავისუფლებების ინდექსით საქართველომ 39 პუნქტით აიწია, ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ქვეყანა ემზადება მომავალი ადგილობრივი არჩევნებისათვის, რაც იქნება გარკვეულწილად ტესტი დემოკრატიისათვის.

მიმაჩნია, რომ ამ პროცესების განვითარება, მიუხედავად რუსეთის ოკუპაციისა, სერიოზულად შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის განვითარებას.

ებრაული სატელეგრაფო სააგენტო გვაუწყებინებს:

ისრაელი მოითხოვს კაფკის ხელნაწერის დაბრუნებას

ისრაელი მოითხოვს, გერმანიამ დაუბრუნოს მას ფრანც კაფკას „სასამართლოს" ხელნაწერის ორიგინალი.

1939 წელს, ხელნაწერი პრაღადან თელავივში ჩამოიტანეს, მაგრამ 1988 წელს მიეყიდა გერმანიას 2 მილიონ დოლარად და ახლა ინახება გერმანიის თანამედროვე ლიტერატურის მუზეუმში. თუმცა, ისრაელის ეროვნული ბიბლიოთეკის მტკიცებით, ხელნაწერი არაკანონიერად იქნა გაყიდული – იტყობინება ისრაელის გაზეთი „ჰაარეც"-ი.

კაფკას უახლოესმა მეგობარმა და მისი ანდერძის განმკარგულებელმა მაკს ბროდმა მიიღო კაფკას ნამუშევრები, მაგრამ იმის მაგივრად, რომ დაეწვა ისინი, როგორც ავტორმა უანდერძა, „სასამართლო" გამოაქვეყნა. მან ხელნაწერის ორიგინალი და კაფკას სხვა ქაღალდები პალესტინაში წაიღო, ხოლო 1969 წელს, როდესაც გარდაიცვალა, ყოველივე თავის მდივანს ესთერ ხოფფეს დაუტოვა.

ხოფფემ „სასამართლოს" ხელნაწერი გერმანიას მიჰყიდა სოტბის აუქციონზე ლონდონში.

მაგრამ თავის ანდერძში ბროდი ითხოვდა, რომ ყველა ხელნაწერი და სხვა მისი კუთვნილი ქაღალდები შეენახათ იერუსალიმის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ზოგიერთ სხვა საჯარო არქივებში ისრაელსა და საზღვარგარეთ. ბიბლიოთეკამ შეიტანა სარჩელი ხოფფეს ქალიშვილების ევა ხოფფეს და რუთი უისლერის სახელზე, რომლებიც თითქოსდა აგრძელებენ დარჩენილი ქონების გაყიდვას.

დანაშაული

ისრაელის ოჯახი, რომელიც ამოხოცილ იქნა რიშონ ლე-ციონში საკუთარ სახლში, სავარაუდოდ დაქირავებული მკვლელის მსხვერპლი გახდა – ეს აჩვენა სასამართლო-სამედიცინო გაკვეთამ.

ისრაელელები შიშმა მოიცვა, როდესაც შეიტყვეს ოშრენკოს ოჯახის 6 წევრის შემზარავი მკვლელობის ამბავი. ამ ოჯახის 3 თაობა 3 წლის გოგონასა და 4 თვის ბიჭის ჩათვლით, 17 ოქტომბერს ამოხოცეს საკუთარ სახლში.

გაკვეთამ აგრეთვე აჩვენა, რომ ბავშვების მამა ებრძოდა მკვლელს – იტყობინება „ჰაარეც"-ი. ოჯახი დაასაფლავეს 18 ოქტომბერს.

მოკლულები: რევიტალი — 3 წლის, ნეთანიელი — 4 თვის, მათი მშობლები — 28 წლის ტატიანა და 32 წლის დიმიტრი, მათი 56 წლის ბაბუა ედუარდი და ბებია — ლუდმილა. ტატიანა და დიმიტრი რუსი ემიგრანტები ფლობდნენ კლუბებს და რესტორანს რუსი ისრაელელებისთვის.

„რუსული და კავკასიური დანაშაულებრივი სამყაროს სტანდარტების მიხედვითაც კი, ამ ოჯახში მომხდარი წარმოუდგენელია" — განუცხადა პოლიციის თანამშრომელმა გაზეთ „ჰაარეც"-ს.

18 ოქტომბერს პოლიცია იმყოფებოდა რესტორანში რიშონ ლე-ციონში და დაკითხა მოსამსახურე პერსონალი, აგრეთვე ოჯახის ახლობლები და ნათესავები. ჯერჯერობით, პოლიციამ აკრძალა გამოძიების შედეგების გამოქვეყნება.

მინისტრთა კაბინეტის კვირის სხდომის დასაწყისშივე, პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ გამოთქვა „დიდი გულისტკივილი და აღშფოთება" მომხდარის გამო. მან მიუსამძიმრა ოშრენკოს ოჯახს, ნათესავებს და ტურიზმის მინისტრს სტას მისეჟნიკოვს, მათს მეგობარს.

მკვლელობის წინა დღეს – 16 ოქტომბერს ოჯახმა რევიტალის დაბადების დღე აღნიშნა. მეორე დღეს კი, დილით გამოძახებული იყვნენ მეხანძრეები, რომლებმაც შეანგრიეს ბინის კარები და აღმოაჩინეს გვამები. მათ განაცხადეს, რომ მსხვერპლის სიკვდილის მიზეზი გახდა დანით მიყენებული ჭრილობები და არა ხანძარი.

მოსკოვმა "ნატივის" ორი წარმომადგენლობა დახურა

რუსეთის ხელისუფლებამ ისრაელის ორგანიზაცია "ნატივის" 2 – პეტერბურგისა და ნოვოსიბირსკის ოფისები დახურა. ეს ოფისები ყოფილი საბჭოეთის ებრაელობას რეპატრიაციაში ეხმარება, დახურულ იქნა – ეს ინფორმაცია 14 ოქტომბერს ისრაელის გაზეთმა „მაარივ" გამოაქვეყნა.

ამ ოფისების დახურვა გაართულებს, თუ საერთოდ შეუძლებელს არ გახდის, რეპატრიაციისთვის ყველა საჭირო დოკუმენტის მიღებას, რომლის შეგროვებითაც ახლა 200-მდე რუსი ებრაელი არის დაკავებული – აცხადებს გაზეთი.

ნატივის მთავარი დანიშნულებაა – დაადგინოს, აქვს თუ არა ისრაელში რეპატრიაციის უფლება ამა თუ იმ რუს ებრაელს დაბრუნების კანონის მიხედვით.

ოფისების დახურვა მოხდა ორ კვირაში მას შემდეგ, რაც ისრაელის დიპლომატს შმუელ პოლიშუკს, რომელიც რუსეთში "ნატივს" მართავდა, სთხოვეს, დაეტოვებინა ქვეყანა.

მედიის განცხადებებით, გაზეთ „მაარივ"-ის და სააგენტო Reutersis ჩათვლით, პოლიშუკი ქვეყნიდან გააძევეს, მას მერე, რაც ბრალი დასდეს დაზვერვაში. ნატივის ხელმძღვანელობამ გაზეთ „მაარივ"-ს, აგრეთვე შეატყობინა, რომ რუსეთის თავდაცვის სამსახურის თანამშრომლები უთვალთვალებენ ნატივის თანამშრომლებს და ერევიან მათ სამსახურში.

„შმუელ პოლიშუკი დაჭერილ იქნა რუსეთში დანაშაულის ადგილზე – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-მდივანმა ანდრეი ნესტერენკომ სააგენტო Reuters-თან საუბარში, იმისდა მიუხედავად, პოლიშუკი არ გამოუცხადებიათ პერსონა ნონ გრატად, რასაც საერთოდ აკეთებენ დაზვერვაში ეჭვმიტანილებთან მიმართებაში.

ისრაელის მთავრობამ 10 წლის წინათ, ფორმალურად გაყო ნატივი და დაზვერვის სამსახური.

საბჭოურ ხანაში, ნატივი ადგენდა საიდუმლო კავშირებს საბჭოური ბლოკის ებრაელობასთან, მაგრამ „რკინის ფარდის" ჩამოვარდნის შემდეგ, ყოფილ საბჭოთა კავშირის ებრაელებს შორის დაიწყო ღია პროპაგანდა ისრაელში რეპატრიაციისათვის.

ჩინეთი — გოლდსტოუნის მოხსენების წინააღმდეგ

– ჩინეთი გაეროს თავდაცვის საბჭოზე გოლდსტოუნის მოხსენების წინააღმდეგ გამოვა – განუცხადეს ჩინეთში მყოფ ისრაელის დელეგაციას ჩინეთის საკანონმდებლო ორგანოში.

პეკინი აგრეთვე იქნება იმის წინააღმდეგი, რომ ეს მოხსენება გამოყენებულ იქნას ისრაელისა და ისრაელელების წინააღმდეგ შეტანილ სასამართლო სარჩელის საფუძვლად, საერთაშორისო ტრიბუნალზე ჰაგაში – უთხრეს ჩინელმა ჩინოვნიკებმა ქნესეთის დეპუტატს ცახი ხანეგბის, რომელიც სათავეში უდგას პარლამენტის კომიტეტის დელეგაციას.

ც. ხანეგბიმ მკაცრად გააკრიტიკა ჩინეთი იმის გამო, რომ გასულ კვირას მან ხმა მისცა რეზოლუციის დამტკიცებას, რომელიც ითვალისწინებდა გაეროს თავდაცვის საბჭოსათვის გოლდსტოუნის მოხსენების გადაცემას.

ჩინელმა პარლამენტარებმა ისრაელის დელეგაციას განუცხადეს, რომ მათი აზრით, ადამიანის უფლებების საბჭოს შეუძლია ეს მოხსენება საერთაშორისო ორგანიზაციების მიზიდვის გარეშე განიხილოს.

თარგმნა
ლიდია ხომენკომ

ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი აცხადებს მიღებას შემდეგ ახალ კურსებზე:

1. ვოკალური სტუდია – კონსერვატორიის პროფესორის **ვილი გრიგორიანის** ხელმძღვანელობით.
2. ფოტო სტუდია – **იურიმეჩითოვის** ხელმძღვანელობით
3. ქართულ-ებრაული ცეკვის სტუდია – თეატრ „ნაბადი"-ს ქორეოგრაფის **ნინო ტურაბელიძის** ხელმძღვანელობით.
4. ჭადრაკის სკოლა – ოლიმპიური ჩემპიონის, სპორტის ოსტატის **სოფიკო ხუხაშვილის** ხელმძღვანელობით.
5. ფიტნესი.
6. ხელსაქმე
7. მადრიხების სკოლა
8. საბანკო საქმე
9. HIP-HOP-ის სტუდია

მისამართი: ვახტანგ VI-ის ქუჩა 30. საკონტაქტო ტელეფონები 770653, 891218897, 212740, 328158.

ვაიერა

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება

საქართველოს მთავარი რაბინი

არიელ ლევინი

კვირის საკითხავი თავის "ვაიერა" მთავარი მოქმედი პირია (ისევე, როგორც თავში "ლეხ ლეხა") ჩვენი დიდი მამა აბრაჰამი. თორა მოგვითხრობს, რომ წინადაცვეთიდან სამი დღის შემდეგ, მაშინ, როცა ჯერ ტკივილები ისევ აწუხებდა, აბრაჰამი უკვე თავისი კარვის წინ იჯდა და ელოდა გამვლელებს, რომელთაც სახლში მოიპატიჟებდა. პირველ რიგში მას ეს სჭირდებოდა სტუმრის დახვედრის მიცვის შესასრულებლად და მეორეც - იმისათვის, რომ ერთიანი გამჩენის რწმენა ჩაენერგა მათთვის. ამაში ხომ აბრაჰამი თავისი ცხოვრების ძირითად მიზანს ხედავდა – ექადაგა გამჩენის ერთადერთობაზე მთელს მსოფლიოში. მგზავრების სახით გამჩენი აბრაამს უგზავნის სამ ანგელოზს. თითოეულ მათგანს თავისი მისია აკისრია: უმკურნალონ აბრაჰამს წინადაცვეთის ჭრილობებზე და გადაარჩინონ ლოტი, შეატყობინონ აბრაჰამს, რომ მას ერთი წლის შემდეგ ვაჟი იცხაკი შეეძინება და დაანგრიონ სდომი. აბრაჰამისგან წამოსული ორი ანგელოზი მიდის სდომის დასანგრევად და ლოტის გადასარჩენად. სდომის დანგრევამდე გამჩენი ატყობინებს აბრაჰამს ამ გადაწყვეტილების შესახებ და აქ ჩვენ ვხედავთ განსხვავებას ნოახსა და აბრაჰამს შორის. აბრაჰამი, ნოახისაგან განსხვავებით, გრძნობს პასუხისმგებლობას მთელი მსოფლიოს წინაშე (უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთ-ერთი ის თვისებაა, რომელიც აბრაჰამმა ებრაელ ხალხს გადასცა).

იცოდა რა, რომ სდომის მოსახლეობა საშინლად სცოდავდა, აბრაჰამი ლოცულობდა გამჩენის წინაშე მათ გადასარჩენად. სდომში ხუთი ქალაქი იყო. "იქნებ იქ 50 წმინდანი მოიძებნება" (ანუ თითოეულ ქალაქში 10 წმინდანი), და მათ გამო არ დაანგრევ სდომს". იქნებ 45 ადამიანია ასეთი, ანუ 9 თითოეულ ქალაქში და შენ, გამჩენო იქნები მეათე. რვა წმინდანი უკვე ვეღარ გადაარჩენდა სდომს (ნოახის ოჯახში ხომ რვა წმინდანი იყო და მათ ვერ შეძლეს ქვეყნიერების გადარჩენა) და ამიტომ აბრაჰამი აღარ სთხოვდა გამჩენს.

და იყო, როცა გამჩენი (სდომის) ხეობას ანგრევდა, გაიხსენა გამჩენმა აბრაჰამი და გამოიყვანა ლოტი დანგრეული ქალაქებიდან..."

და რა დამსახურება ჰქონდა ლოტს აბრაჰამის წინაშე. ხომ რთულია იმის წარმოდგენა, რომ გამჩენმა ის მხოლოდ აბრაჰამის დამსახურების გამო გადაარჩინა. მას გამჩენის წინაშე საკუთარი დამსახურებაც უნდა ჰქონოდა.

როცა პატარა ვიყავი და სკოლაში ვსწავლობდი, ჩვენ გვიყვებოდნენ ისტორიას პატარა ბიჭზე სახელად პავლიკ მაროზოვი. ჩემი და ჩემზე უფროსი თაობის ხალხს ახსოვთ ეს ისტორია. პავლიკ მაროზოვი საბჭოთა პიონერი იყო. გაიგო რა, რომ მის მამას ჰყავს პირუტყვი, რომელიც კოლმეურნეობას არ ჩააბარა და აქვს ფული, რომელიც არ მისცა საბჭოთა ხელისუფლებას, თავად შეატყობინა ხელისუფალთ. პირუტყვი და ფული, რასაკვირველია, წაართვეს, მისი მამა კი დახვრიტეს. პავლიკა საბჭოთა ხელისუფლების გმირი (სიმბოლო) გახდა. მის სახელს არქმევდნენ ქარხნებს, კლუბებს, ქუჩებს. მის მაგალითზე ზრდიდნენ საბჭოთა ახალგაზრდობას და მათ შორის მეც.

უნდა ითქვას, რომ ეს ისტორია ბავშვობის წლებშიც არ მომწონდა. ჩემი თავის პავლიკას ადგილზე წარმოდგენა მეძნელებოდა. მშობლების გაცემა ჩემთვის წარმოუდგენელი იყო ალბათ იმიტომ, რომ ოჯახში მასწავლიდნენ, რომ ნებისმიერი ადამიანის და, მით უმეტეს მშობლების, დასმენა არ შეიძლებოდა.

მაშ, რა დამსახურება ჰქონდა ლოტს აბრაჰამის წინაშე? როცა აბრაჰამი მეუღლე სარასა და მის ძმა ლოტთან ერთად ეგვიპტეში ჩავიდა, აბრაჰამმა სარას სთხოვა ეთქვა, რომ მისი და იყო. მას ეშინოდა, თუ გაამხელდა რომ ისინი მეუღლეები იყვნენ,აბრაჰამს მოკლავდნენ. და იმ მომენტში, როცა სარა აბრაჰამზე ამბობდა, რომ ის მისი ძმა იყო, ლოტი თავის თავს ებრძვოდა. მას ძალიან უნდოდა ეთქვა, რომ ეს სიმართლე არ იყო, რომ სარას ძმა თავადაა. და მაშინ? მაშინ აბრაჰამს მოკლავდნენ და ლოტი მისი ერთადერთი მემკვიდრე იქნებოდა, რადგანაც სარას და აბრაჰამს იმ მომენტისათვის შვილი არ ჰყავდათ. ამასთან ფარაონისაგან სარას გამოსასყიდი მთელი თანხაც მას, ლოტს, ერგებოდა. და ამისათვის მას ტყუილის თქმაც არ დასჭირდებოდა, ის იტყოდა სიმართლეს: სარა აბრაჰამის მეუღლეა და ჩემი და. და რას მოიმოქმედებდნენ შემდეგ ეგვიპტელები, უკვე მისი საქმე არ იყო. ნუ, ლოტ, სულ ცოტაც და შენ პავლიკ მაროზოვად გადაიქცევი. ეს იქნებოდა არა იდეის გამო, არამედ ფულის გამო. მაგრამ მომავალზეც ხომ საჭიროა ფიქრი, ოჯახზე, შვილებზე. ძნელია ცოლის მოყვანა, როცა არა გაქვს ფული, აქ კი ასეთი შესაძლებლობა იყო!

მაგრამ ლოტი დუმს, ის ადამიანად დარჩა, არ გასცა აბრაჰამი და ამით გადაირჩინა თავი. როცა გამჩენი ანგრევდა სდომს, სწორედ ამ საქციელის გამო გამოიჩინა მოწყალება და გადაარჩინა ლოტი, გამოიყვანა სდომიდან.

სდომის განადგურების შემდეგ ამ ადგილებში მგზავრები აღარ დადიოდნენ და აბრაჰამმა გადაწყვიტა გრარში გადასახლებულიყი. გრარს მეფე ავიმელეხი მართავდა. აქ განმეორდა იგივე სიტუაცია სარასთან დაკავშირებით: აბრაჰამი ამბობს, რომ სარა მისი დაა, იგი მეფის სასახლეში გადაჰყავთ, საქმეში გამჩენის ხელი ერევა და სარა დასაჩუქრებული ბრუნდება აბრაჰამის სახლში.

ამის მიუხედავად, თუ ყურადღებით ჩავუკვირდებით თორას, დავინახავთ, რომ გრარში და ეგვიპტეში ავიმელეხთან და ფარაონთან მომხდარი ისტორიები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ორი მეფის ქმედებებიც სხვადასხვანაირია. ფარაონი პირუტყვივით იქცევა, ის მთლიანად საკუთარი ვნებების გავლენის ქვეშაა მოქცეული. და მაშინ "და ამარცხებს მას გამჩენი უდიდესი მარცხებით მას და მის ოჯახს". ფარაონი ხვდება, რომ ეს სარას გამო დაემართა და აბრაჰამს უხმობს. ის მოკლედ და კონკრეტულად ეუბნება აბრაჰამს: "რატომ არ მითხარი, რომ ის შენი მეუღლეა, ახლა წაიყვნე და წადი ჩემი მიწაწყლიდან".

ავიმელეხს გამჩენი ძილში გამოეცხადა და შეატყობინა, რომ სარა აბრაჰამის მეუღლეა და თუ ის არ დააბრუნებს მას, მოკვდება.

ავიმელეხი გამჩენს ესაუბრება და ეუბნება, რომ არაა დამნაშავე, რადგანაც არ იცოდა, რომ სარა გათხოვილია. დილით ავიმელეხი უძახის აბრაჰამს და ეკითხება, ეს რა გაგვიკეთე, რა დაგიშავეთ, რომ ასეთი დიდი ცოდვის ჩასადენად გამიმეტე, რა ნახე ჩვენში ისეთი, რომ ასე მოგვექეცი. აბრაჰამი პასუხობს: დავინახე, რომ არა გაქვთ აქ გამჩენის შიში".

მაგრამ ჩვენ ხომ ვხედავთ, რომ ავიმელეხი ფარაონს არ ჰგავს, რომ ის კულტურული, თავაზიანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, ცდილობს დაიცვას კანონი. სტუმართმოყვარეობის კანონის მიხედვით, ფარაონისაგან განსხვავებით, ის აბრაჰამს სთავაზობს მის მიწაზე დასახლებას.

და მაინც, აბრაჰამი ხედავს, რომ ამის უკან არაფერი არ დგას. რატომ ეკითხებიან მას გრარში შესვლისთანავე სარაზე? განა ამის შესახებ მგზავრებს ეკითხებიან? მიღებულია ჰკითხოთ მათ მოშიებული ხომ არ არის, ხომ არ სწყურია, აქვს თუ არა ღამის გასათევი ადგილი. ამიტომაც პასუხობს აბრაჰამი, რომ იქ, სადაც არაა გამჩენის წინაშე შიში, არაფერი არაა. თქვენ ხომ კანონის აშკარა დარღვევით არ წაართმევთ ქმარს ცოლს. თქვენ ამას მალულად იქმთ. მოწამლავთ ქმარს, მოუწყობთ მას საავტომობილო კატასტროფას. როცა თქვენ გექნებათ არჩევანი კანონსა და თქვენს ვნებებს შორის, თქვენ ვნებებს აირჩევთ. თქვენში არსებული სიკეთე ნაკლებია თქვენშივე არსებულ ბოროტებაზე. თორისა და გამჩენის წინაშე შიშის გარეშე თქვენ არ შეგწევთ ბოროტების დაძლევის უნარი. და ამიტომ, თქვენი მთელი კულტურა, ქცევის წესების ცოდნა და ვითომცდა კანონის მეფობა არაფრად ღირს, "არაა გამჩენის წინაშე შიში".

მეოცე საუკუნეში ხალხმა, რომელსაც განსაკუთრებულად მაღალი კულტურა ჰქონდა, ქვეყანამ, რომელმაც სამყაროს აჩუქა უდიდესი მეცნიერები, მუსიკოსები, მწერლები და პოეტები დაამტკიცა მოშეს სიტყვების სიმართლე. გერმანულ საკონცეტრაციო ბანაკებში ფაშისტები აიძულებდნენ ებრაელებს დაეკრათ მათთვის ლამაზი მელოდიები, ისინი განცხრომით უსმენდნენ და საქმის ცოდნით აფასებდნენ ამ მუსიკას. მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლიდა მხეცურად გაენადგურებინათ მილიონობით უდანაშაულო ადამიანი.

თორა მარადიულია. აბრაჰამის სიტყვები, რომ იქ, სადაც არაა გამჩენის შიში, არაფერი არაა, აქტუალურია კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ისევე, როგორც ყველაფერი, რაც თორაშია ნაბრძანები. ეს ხომ გამჩენის სიბრძნეა და, იყოს გამჩენის ნება, რომ ჩვენ ყველა, შესაძლებლობისდა მიხედვით, ჩავწვდეთ მას.

ალეკო ბაზაზაშვილმა პირველი ადგილი დაიკავა

22 ოქტომბერს, ქ. თბილისის გლდანის ძიუდოს სკოლაში გაიმართა საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის ღია პირველობა 1997-1998 წწ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის ძიუდოში, რომელზეც ალეკო ბაზაზაშვილმა 46 კგ. წონით კატეგორიაში I ადგილი დაიკავა.

პირველობაში მონაწილეობას იღებდნენ ძიუდოს თბილისის, კახეთისა და სხვა რეგიონების სკოლები.

შეჯიბრი საინტერესო და დაძაბული გამოდგა. ალეკო ბაზაზაშვილმა სულ სამი ბრძოლა ჩაატარა, ხოლო ფინალში განსაზღვრული დროის გარდა, რომელიც ფრედ დამთავრდა, დამატებითი დრო გახდა საჭირო, რათა გამარჯვებული გამოევლინათ. თუმცა, ბრძოლა იმდენად საინტერესო და სანახაობრივად კარგი იყო, რომ გადაწყდა, ორივე ფინალისტისათვის I ადგილის მინიჭება, რაც უპრეცედენტო შემთხვევა გახლდათ.

ჩვენ გვახსოვს ალეკოს გასული შეჯიბრები და მიღწეული წარმატებები და გვინდა ვუსურვოთ მას წინსვლა და კვლავ გამარჯვება.

მოგონებები ფიზიკოსებზე

29 ოქტომბერს, ებრაულ სახლში ებრაულმა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდმა, პროგრამა „ებრაულმა მემკვიდრეობამ" ნათან ბაზოვის ორგანიზებით მოაწყო შეხვედრა: "ჩემი მოგონებები ცნობილ ფიზიკოსებზე". ბ-ნმა ნათანმა ისაუბრა ცნობილ მეცნიერებზე, ფიზიკოსებზე: ვიქტორ ხრაბოვზე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების დოქტორზე, ელეფთერ ანდრონიკაშვილზე, აბრაამ ზავინიგინზე, ილია ნასყიდაშვილზე, ა. კურჩატოვზე და სხვა ცნობილ ფიზიკოსსა და მეცნიერზე. აგრეთვე, წარმოადგინა ამ გამოჩენილი ადამიანების წიგნები და წაიკითხა ეპიზოდები მათი ცხოვრებიდან.

ხავიერ სოლანას განცხადება

ევროკავშირის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ხავიერ სოლანამ 28 ოქტომბერს განაცხადა:

– ძალიან შეშფოთებული ვარ იმის გამო, რომ ისრაელის ხელისუფლებამ აღმოსავლეთ იერუსალიმში დაანგრია პალესტინელთა სახლები.

ასეთი ქმედებები მსოფლიოს თანამეგობრობას ხელს უშლის განაახლოს სამშვიდობო მოლაპარაკებები. ამ მოლაპარაკებების მთავარი მიზანი კი გახლავთ მყარი და სამართლიანი მშვიდობის მიღწევა.

ისრაელის ხელისუფლებას მოვუწოდებ შეწყვიტოს დისკრიმინაციული ქმედება, არ არის საჭირო აღმოსავლეთ იერუსალიმში ძალადობის გაღრმავება.

ნობელის პრემია

ნობელის პრემიის ახალი ლაურეატი ქიმიაში გახდა ისრაელელი მეცნიერი ქალი ადა იონათი.

ადა იონათმა თავისი მეცნიერული კვლევების უმეტესი ნაწილი გერმანიის სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩაატარა. 1979-1983 წლებში იგი გახლდათ ბერლინის პლანკის სახელობის მოლეკულური გენეტიკის ინსტიტუტის მიწვეული პროფესორი. აქ იგი ინსტიტუტის მეცნიერებთან ერთად მუშაობდა, ხოლო 1986-2004 წლებში ხელმძღვანელობდა ჰამბურგის პლანკის სახელობის ინსტიტუტის მკვლევართა ჯგუფს.

საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი "ხესედ ელიაჰუ"

აცხადებს ტენდერს პროგრამაზე სახელწოდებით "მაღაზია".

ტენდერში მონაწილეობის მსურველებს იურიდიულ პირებს, სასურსათო სუპერმარკეტების მფლობელებს, შეუძლიათ გაეცნონ ტენდერის პირობებს "ხესედ ელიაჰუ"-ს ადმინისტრაციაში მისამართზე: ქ. თბილისი, ვახტანგ VI ქ. 30, II სართული, ადმინისტრაცია.

სასურველია, რომ აღნიშნული სუპერმარკეტები მდებარეობდნენ თბილისის ცენტრალურ რაიონებში, ფლობდენ დიდი ზომის სავაჭრო დარბაზს და აღჭურვილნი იყვნენ კომპიუტერული სისტემით.

ტენდერის პირობების გასაცნობად საჭიროა წარმოდგენილი იქნას შემდეგი დოკუმენტები:

1. იურიდიული პირის წესდების ასლი;
2. სარეგისტრაციო მოწმობის ასლი;
3. ორგანიზაციის იურიდიული მისამართი;
4. ორგანიზაციის ხელმძღვანელის პირადობის მოწმობის ასლი და საკონტაქტო ტელეფონი;
5. ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები;
6. ცნობა ბანკიდან იმის თაობაზე, რომ ორგანიზაციის ანგარიში მოქმედია და არ ერიცხება საბიუჯეტო დავალიანება.

დოკუმენტების მიღება და ტენდერის პირობების გაცნობა იწარმოებს 2009 წლის 13 ნოემბრამდე "ხესედ ელიაჰუ"-ს ადმინისტრაციაში.

საკონტაქტო ტელეფონი 77-20-82

ტივისცემით ვიხსენებ მას, ამავე დროს ვიზიარებ ამ ძვირფასი და უაღესად დიდი ადამიანის ბ-ნ მიხეილ მირილაშვილის მოულოდნელი გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას და მადლობას ვუხდი ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარეს ბ-ნ გურამ ბათიაშვილს მიხეილ მირილაშვილის ხსოვნის საღამოზე მოწვევისათვის.

„ხესედ ალიაჰუს" დირექტორი ბ-ნი **რევაზ შათაშვილი:**

– ჩემი პირადი კონტაქტი ბ-ნ მიხეილთან მხოლოდ ორჯერ იყო. პირველად კონგრესის ჩამოყალიბების პირველ სხდომაზე, როდესაც ყველა ვიმყოფებოდით ისრაელში და ძალიან მეამაყება, რომ ჩვენ ქართველ ებრაელებს, გვაქვს მსოფლიო ებრაელთა კონგრესი. ჩემი საქმიანობით მე ხშირად მიწევს შეხვედრები სხვა ქვეყნების კონგრესის წევრებთან და ვხედავთ, რომ ასეთი კონგრესი აქვს რუსეთს, უკრაინას და ამხელა ერისთვის, როგორიც არის ქართველი ებრაელობა, მხოლოდ მირელაშვილების ოჯახმა შეძლო და ჩამოაყალიბა ამხელა საქმე.

შემდგომში, მე ვიყავი კიდევ ისრაელში და მოვისმინე, თუ რა დიდ საქმიანობას ეწევა ეს კონგრესი ისრაელში. ძალიან დიდი კავშირებია და უდიდეს დახმარებას უწევენ

ისინი ქართველ ებრაელებს. გარდა ამისა, მხოლოდ გაჭირვებულებზე არ არის ლაპარაკი, ისინი ასპონსორებენ ხელოვნების განვითარებას, სპორტულ ღონისძიებებს. საკმაოდ დიდი და კარგი ორგანიზაციაა.

მე შემიძლია ვთქვა, რომ როდესაც ებრაული სახლი ყალიბდებოდა და ტარდებოდა სამუშაო ღონისძიებები, „ჯოინთმა" მაშინ, ასე ვთქვათ, ქართველ ებრაელ სპონსორებს მიმართა, რომლებსაც შეეძლო გამოეყო რაიმე თანხა, რათა ებრაულ სახლს მიეღო სრულყოფილი სახე. მხოლოდ ორი ადამიანი გამოგვეხმაურა. ერთ-ერთი გახლდათ ბ-ნი მიხეილ მირილაშვილი, რომელმაც ჩაგვირიცხა 30 ათასი დოლარი. ამ თანხით, ჩვენ შევიძინეთ სასადილოს აღჭურვილობა. მოგახსენებთ, რომ მსოფლიოში არსებობს ბევრი ხესედი, რუსეთში ასეთი 180-ია, მაგრამ ჩვენნაირი მხოლოდ კიევში არის.

მეორე შეხვედრა ბ-ნ მიხეილთან მქონდა მოსკოვში, არის ასეთი დარბაზი „ნაპოლეონი", როდესაც „ჯოინთმა" მოაწყო საღამო და იქ შეიკრიბა ბევრი ქართველი ებრაელი, რომელიც მოღვაწეობდა რუსეთში და ძირითადად მოსკოვში. ეს „ჯოინთის" მიერ მოწყობილი საღამო ემსახურებოდა თანხების შეგროვებას თავისი საქმიანობისათვის და ჩვენ წარვადგინეთ საკმაოდ დიდი სპექტრი, თუ რა კეთდება „ჯოინთში", რას მოღვაწეობს და რა გეგმები აქვს. აქ იმყოფებოდა ბ-ნი მიხეილი, მისი ვაჟი — კუსო და ძალიან დიდი თანხები გაიღო მაშინ მირილაშვილების ოჯახმა. მახსოვს, იყო ასეთი სურათიც გამოქვეყნებული გაზეთ „მენორაში", სადაც მე, ბ-ნი მიხეილი და „ჯოინთის" ერთ-ერთი წარმომადგენელი ვსაუბრობთ. იქ მან იკითხა, თუ რას აკეთებს „ჯოინთი" საქართველოში და როდესაც ჩვენ ჩამოვუყალიბეთ, თუ რა საქმიანობას ეწევა „ჯოინთი" და ის ციფრები, თუ რამდენ ადამიანს ვეხმარებით, მან ეს გულთან ახლოს მიიტანა, ბ-ნმა გურამმა არაერთხელ გადმოგვცა თანხები, რომლებიც გამოგზავნილი იყო ბ-ნი მიხეილის მიერ ხესედისთვის.

„ხესედ ელიაჰუში" არის მემორიალური დაფა, რომელიც გამოკრულია ებრაული სახლის პირველ სართულზე, ამის წინ იყო ჩამოსული მისი ვაჟი — გაბრიელი (კუსო), მეუღლესთან ერთად და მე დავათვალიერებინე ეს სასადილო, ვანახე ეს დაფა და ძალიან ესიამოვნა.

რასაკვირველია, ასეთი ადამიანების მოგონება, ყოველთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის იმისათვის, რაც მან ქართველ ებრაელებს გაუკეთა. აგრეთვე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბ-ნ გურამ ბათიაშვილს იმისათვის, რომ ასეთი მშვენიერი საღამო მოაწყო.

ბიზნესმენი **სოსო აჯიაშვილი:**

– ვფიქრობ, არ არსებობს კაცობრიობაში სასწორი, რომელიც ასწონის იმ სიკეთეს, რომელსაც ადამიანი აკეთებს. ეს შეიძლება განსაზღვროს მხოლოდ გამჩენმა. მე სამწუხაროდ, წინა გამომსვლელებთაგან განსხვავებით, არ ვიცნობდი პირადად იმ ადამიანს, ვის საპატივცემლოდ დღეს აქ ვართ მოწვეულები, მაგრამ ნამდვილად ამაყად ვგრძნობ თავს, იმის გამო, რომ ასეთი ერისშვილი ჰყავდა ჩვენს საზოგადოებას.

ბოდიშს გიხდით, რადგან არ ვარ მიჩვეული გამოსვლებს და გარკვეულწილად ვღელავ, ვერ გადმოგცემთ იმ გრძნობას, რომელიც გამიჩნდა და დიდი მადლობა იმისათვის, რომ მაინც მომეცა საშუალება ჩემი ბ-ნი მიხეილისადმი დამოკიდებულება გამომეხატა თქვენს წინაშე.

ნათელი ხსოვნა ყოფილიყოს ამ ადამიანის და ვისურვებდი, რომ ყველა ერს მრავალი და მრავალი ჰყოლოდეს ასეთი ქველმოქმედი და ასეთი კეთილი ადამიანი.

რობერტ მიხელაშვილი:

– მე და მიშიკო თითქმის ტოლები ვართ, ბავშვობიდან ვმეგობრობთ და ჩვენი მეგობრობა ჩვენი მამების — გაბრიელ მირილაშვილისა და მამაჩემის მეგობრობიდან მოდიოდა. სხვათა შორის ის ფაბრიკა, რომელიც ბ-ნმა რამინმა ახსენა დაბა კულაშში, სწორედ გაბრიელ მირილაშვილის მიერ იყო დაარსებული და მისი მიზანი იყო მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ როგორმე ხალხი დასაქმებულიყო. მაშინ კომუნისტების დროს, ასეთ ხალხს საქმოსნებს ეძახდნენ. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს საწარმო შექმნილიყო და მართლაც, ძალიან ბევრ გაჭირვებულ ებრაელს საშუალება მიეცა იქ დასაქმებულიყნენ იმ ქართველებთან ერთად, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ. შემდეგ მიშიკომ დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი და იქ დაიწყო მუშაობა, დაინიშნა მთავარ ინჟინრად და მმართველიც ფაქტიურად იგი გახლდათ. მისი მიზანი იყო, როგორმე გაეფართოვებინა წარმოება, არა მარტო თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ყო-

ველთვის ერთი მიზანი ჰქონდა, როგორმე მეტი მუშახელი დაესაქმებინა. მოგეხსენებათ, თანაც იმ დროს რა გასაჭირი იყო.

3 წლის წინ დაბა კულაშში ბიძაჩემის – ისაკ მიხელაშვილის სახლ-მუზეუმი გაიხსნა. მოდიოდნენ ქართველები და კითხულობდნენ, ნუთუ მირილაშვილები აქეთ არ გამოხედავენ, რომ ეს ფაბრიკა ააღორძინონ, რადგან ჩამკვდარია ყველაფერი და ხალხს დასაქმების სურვილი აქვს, მაგრამ რას იზამ, ცხოვრებამ მიშიკო სხვაგან გადაიყვანა. მან გაზარდა არაჩვეულებრივი შვილები, მისცა მათ სპეციალობა. მთელი მისი შეგნებული ცხოვრება მიმართული იყო ამისაკენ, რომ როგორმე თავისი შვილები ყოფილიყვნენ გამორჩეულები. რაც პრინციპში ყველა მამის ვალდებულებაა.

ბ-ნმა გურამმა ახსენა მისი სიმამრი ბ-ნი ილია ბოთერაშვილი, რომელიც გახლდათ სამტრედიის რაიონის მთავარი ექიმი, უაღრესად დახვეწილი პიროვნება. და მართლაც, იმდენად დიდი სკოლა იყო მიშიკოსთვის მასთან ურთიერთობა, რომ იქიდან მომდინარეობდა სწორედ, რომ კუსო და მიხო ექიმები გახდნენ.

საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა **როინ მეტრეველმა:**

– მეც, უპირველეს ყოვლისა, ბატონ გურამს მადლობა მინდა მოვახსენო. ის გახლავთ თავიდათავი დღევანდელი ღონისძიებისა, ისევე როგორც ბევრი კარგი და კეთილი საქმისა. საერთოდ, მისი მოღვაწეობისათვის, მწერლობისათვის, საზოგადოებრივი საქმიანობისათვის და დღევანდელი დღეც მისი დამსახურებაა.

დღეს ჩვენ ბ-ნი მოშეს დაბადების დღე აღვნიშნეთ. მინდა ვუთხრა ყველა აქ მყოფს მადლობა, აქ უნდა გავიხსენოთ დიდი ქართველი მწერლის სიტყვები „არ დავიწყება მოყვრისა აროდენ გვიზამს ზიანსა". არ შეიძლება იმ ადამიანების დავიწყება, ვინც ჩვენს ცხოვრებაში ძალიან დიდ როლს თამაშობდნენ და მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს. ჩემთვის მაგალითად, უაღრესად შთამბეჭდავი იყო, კიდევ მოგახსენებთ ბ-ნი მიშიკოს საქმიანობა, ქმედება იყო სიყვარულით, სითბოთი სავსე, რომელიც ხალხისკენ იყო მიმართული.

ბ-ნმა რამინმა ერთი ფრაზა წარმოსთქვა, რომ ქართველი ებრაელები იშვიათად იყვნენ, ასეთ თანამდებობაზეო. სავსებით სწორია, მაგრამ ერთი რამ არის: თუკი იყვნენ ნაღდები, დიდი პროფესიონალები, თანამდებობებიც ეჭირათ. ასეთი იყო პირველ რიგში ბატონი მიშიკო.

მე არ შემიძლია კიდევ ერთი შესანიშნავი პიროვნება არ გავიხსენო, ეს გახლავთ რაფაელ ელიგულაშვილი. იმხანად მე მიხდებოდა ხელმძღვანელ ორგანოებში მუშაობა. მთელი ვაჭრობის სამინისტრო იყო მის კისერზე. მომიტევეთ და კიდევ ერთ ადამიანს გავიხსენებ: ბ-ნ მიხეილ დავითაშვილს, აქ დღეს ბ-ნი დენისი გვესწრება, მისი ვაჟი. პროფესიონალი ჟურნალისტი, მაგრამ კაცი, რომელიც სოფლის მეურნეობაში იყო ჩართული. შესანიშნავი მონოგრაფია დაწერა მან, ჯერ გაზეთში გამოაქვეყნა, ხოლო შემდეგ წიგნად გამოსცა. ერთხელ, როდესაც შევატყვე შეწუხებული იყო, ვკითხე, რაში იყო საქმე, მან მიპასუხა: გააფუჭეს ჩაი... ხარისხმა მოიკოჭლაო. ეს მისთვის იყო ტრაგედია. იგი იყო ერისშვილი, ეს იმიტომ გავიხსენე, რომ პროფესიონალებზე ვლაპარაკობ. ერთგული იყო ამ ხალხის და ქვეყნის. და კიდევ ერთი ღირსეული ადამიანი, ლაილაშელი ებრაელი დათიკო სეფიაშვილი. იგი იყო ერთ-ერთ რაიონში საფინანსო სამმართველოს უფროსი, მაგრამ ეგეთი გულიანი კაცი, ალბათ იქ არც ყოფილა.

ეს ადამიანები მე იმიტომ მოვიგონე, რომ ისინი ქართველი ებრაელობის საამაყო და ღირსეული მაგალითები გახლავან. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ყველა კეთილი კაცის სული.

ბ-ნმა ანზორმა საოცარი ამბავი გვიამბო ბ-ნი მიშიკოს ცხოვრებიდან, რომელსაც სჭირდება მწერალი, რათა დაწეროს ამის შესახებ, რომ კაცი, რომელიც ასე დაეხმარა ბავშვს, მიდის ასეთი პატივცემული საზოგადოებიდან, იმისათვის, რათა სათამაშო გაატანოს მას სამშობლოში.

დარბაზი

მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გითხრათ ყველას, მინდა კიდევ მოვიგონოთ ეს ღირსეული კაცი და მისი ღირსეული საქმეები, შევთხოვოთ უფალს, რომ ნათელში ამყოფოს მისი სული და მრავალჟამიერი თან გაჰყვეს სამარადისოდ.

გურამ ბათიაშვილი:

– მეც მინდა ყველას ძალიან დიდი მადლობა მოგახსენოთ მობრძანებისთვის. ძალიან სასიამოვნო იყო, რომ დღეს ბ-ნი მიხეილის დაბადების დღეზე შევიკრიბეთ და კიდევ ერთი რამ, ბ-ნ როინ მეტრეველს მალე მრგვალი თარიღი შეუსრულდება, მას რა საკვირველია, ძალიან ბევრი დალოცავს, ძალიან ბევრი მიესალმება მისი დაბადების დღეზე, მაგრამ მე მინდა ქართველი ებრაელების ხმაც შევუერთო მის დალოცვას.

მოამზადა
ლიდია ხომენკომ

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი